# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 2009 წელი.

№ 155 (6256)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუპენტელობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# ვინა თქვა, პრეზიდენტი გაზეთებს არ კითხულობსო?




აგერ, ბატონო, როგორც იტყვიან, ყურთაგლეჯა აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე"!.. ჩანს, პრეზიდენტმა ჯიხურში ვერ მიუსწრო ჩვენს გაზეთს და გუბაზ სანიკიძის მიერ ნაყიდ გაზეთში იჭყიტება. ასე რომ ჯიხურში ძებნას გაზეთზე ხელმოწერა ნამდვილად სჯობს. მით უმეტეს, თვეში სულ ათ ლარს გადაიხდით და ყოველდღიურად დილაადრიან შინ მოგართმევენ გაზეთის ცხელ-ცხელ ნომერს...

## იმედგაცრუების ერთი წელიწადი
6

## ვინ დამარცხდა და ვინ გაიმარჯვა?


4



2
## ბენდუქიძე მთავრობას გაუმაძღრობაში ადანაშაულებს!



ეკონომიკური კალეიდოსკოპი

5
## კოლაფსი

## ტალიავინის კომისიას რუსეთი აშანტაჟებს?..
5



## დღის ალიან-ჩალიანი

### ომის დაწყების არავითარი სურვილი არ გაგვაჩნია

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, თბილისს რუსეთთან ომის დასაწყებად არც სურვილი აქვს და არც შესაბამის მზადყოფნაში იმყოფება. ამის შესახებ საქართველოს პირველმა პირმა ფრანგულ ტელეკომპანია „ფრანს 24“-თან ინტერვიუში განაცხადა.**

საკმაოდ ვრცელ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა სწორედ უკანასკნელ პერიოდში კონფლიქტის რეგიონში ვითარების დაძაბვასა და სეპარატისტების მხრიდან გახშირებულ პროვოკაციაზე ისაუბრა.

მისივე ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსურ ადმინისტრაციულ საზღვართან ამ დრომდე 120 ათასი რუსი სამხედრო რჩება.

### ბაიდენი პროვოკაციებისგან თავის არიდებას გვირჩევს

**საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯოზეფ ბაიდენს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა.**

მან შეშფოთება გამოთქვა რეგიონში დაძაბულობის ზრდის გამო.

ჯოზეფ ბაიდენმა მოუწოდა კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეს, „თავი აარიდონ ვითარების დესტაბილიზაციისკენ მიმართულ ქმედებებს“.

ვიცე-პრეზიდენტსა და პრეზიდენტს შორის საუბარი რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებს შორის გამართული სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე საათში გაიმართა.

კრემლის პრეს-სამსახურის ინფორმაციით პრეზიდენტები სატელეფონო საუბრისას საქართველოს თემასაც შეეხნენ.

### ვაშინგტონი არასოდეს აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს

**ვაშინგტონი არასოდეს აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს.** ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ აშშ-ის კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც საქართველოსთან დაკავშირებული მოსმენა „საქართველო — აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ“ გაიმართა.

ვერშბოუს განცხადებით, აშშ-ის პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას ეფუძნება.

### ობამას დაბადების დღე და საქართველოს პრობლემები

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ამერიკელ კოლეგას ბარაკ ობამას დაბადების დღე მიულოცა.**

რუსული მხარის ინიციატივით გამართულ სატელეფონო საუბარში ბარაკ ობამამ მადლობა გადაუხადა რუსეთის პრეზიდენტს და მაღალი შეფასება მისცა პრეზიდენტების ურთიერთობის ხასიათს უმაღლეს დონეზე, რომლის ფორმირება წინა კონტაქტების დროს მოხდა.

ორივე მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია ნდობის მატარებელი ურთიერთობების შენარჩუნება პრეზიდენტებსა და მათ გუნდებს შორის, — აღნიშნულია კრემლის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

პრესსამსახურის ინფორმაციით, მედვედევმა და ობამამ განიხილეს საერთაშორისო საკითხები, მათ შორის შარშანდელი საქართველოს კრიზისი, ვითარება ახლო აღმოსავლეთსა და ირანის თემა.

### თურმე თავდასხმისთვის ოთხი წელი ვემზადებოდით

**საქართველოსთვის კარგად ნაცნობი რუსი გენერალი ანატოლი ნოგოვიცინი მოსკოვში მოწყობილ პრესკონფერენციაზე აცხადებს, რომ საქართველო ე.წ. სამხრეთ ოსეთზე თავდასხმას 2004 წლიდან ამზადებდა.**

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბს აქვს ზუსტი ინფორმაცია, რომელიც სატროფეო დოკუმენტებიდან დასტურდება, იმის შესახებ, რომ საქართველო აგვისტოს აგრესიას სამხრეთ ოსეთზე 2004 წლიდან ამზადებდა, — განაცხადა მოსკოვში რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ანატოლი ნოგოვიცინმა.

მისივე თქმით, რუსეთის წინაშე მთელი მიმდინარე წლის განმავლობაში მდგარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვედასტურებინა მთელი მსოფლიოსათვის, რომ რუსეთის მიერ არასოდეს არავითარი აგრესია არავის წინააღმდეგ არ მზადდებოდა.



**ჯი-ეიჩ-ენი**

## ვალებაყვავებული ქვეყანა

# ბენდუქიძე მთავრობას გაუმაძღრობაში ადანაშაულებს!



**იმ მთავრობას რა ვუთხარი, ბენდუქიძის საკრიტიკო რომ გახდება. უნამუსობით გაძეძგილ-გაბერილი ნამინისტრალი, რომელმაც საქართველო მინდორველიანად და მდინარეებიანად ერთიანად გაყიდა, ახლა რომ შემოგიტრიალდება და მოღრეცილ ყბაში სილას გაგილაწუნებს, ეტყობა ეს ნაღდად დაიმსახურე. და რადგან დაიმსახურე, აღარ უნდა იყოყლოჩინო და იტრაბახო მაინც. არა და არა, ხელისუფლება ვერა და ვერ გადაეჩვია — არ ილაპარაკოს ერთი და აკეთოს მეორე, ეკონომიკის აყვავებას შეგპირდეს და ქვეყანა სინამდვილეში ვალებით ააყვავოს.**

ამორიოდე დღის წინათაც ხელისუფლებამ, ისე რომ არც დაფიქრებულა, გარისკა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ახალი ვალი — 420 მილიონი დოლარის კრედიტი წამოიკიდა. რაც მთავარია, მიჩვეულია მისგან ფულის სესხებას და აღარ ეხამუშება. შარშან სექტემბერშიც ამ ფონდიდან 750 მილიონი დოლარის კრედიტი დაითრია, საიდანაც 450 მილიონის დახარჯვა უკვე მოასწრო. რა ენაღვლება, იაფად აძლევენ სესხს (წლიური განაკვეთი 3 პროცენტს არ აღემატებაძ და რატომ არ უნდა აიღოს? აბა ნახეთ, მსოფლიო ბანკი და სხვა საფინანსო ორგანიზაციები კრედიტების მეშვეობით რა თანხებს ღუნავენ?!

თუმცა ჩვენი თავმომწონე და მოკრძალებული სახელმწიფო მოხელეები არც მსოფლიო ბანკის კარის ატალახებას ერიდებიან. ამ მოკრძალების შედეგია 2 მილიარდამდე ლარი, რომელიც საქართველოს ბიუჯეტს მსოფლიო ბანკისა მართებს. ამას ემატება 500 მილიონი ლარის ევროობლიგაციები, რომელიც შარშან ჩვენგან უცხოურმა საინვესტიციო ფონდებმა შეიძინეს. ამის წლიური პროცენტი უკვე სამის ნაცვლად შვიდია და ის მოვალეს 2012 წლიდან უნდა გადაუხადოს. ადრინდელსაც თუ მივათვლით, ამჟამად ევროობლიგაციებით წარმოქმნილი ვალი უკვე 830 მილიონ ლარს აღწევს. მარტო ეს რომ იყოს, რა უჭირდა, საქართველოს ბიუჯეტს რამდენიმე ათეული ქვეყნისთვის ასეულობით მილიონი ვალი აქვს გასასტუმრებელი.

ეკონომიკის ექსპერტთა შეფასებით, სავალუტო ფონდისგან 420 მილიონი დოლარის ახალი სესხის აღება, ქვეყნის გადახდისუნარიანობას მნიშვნელოვნად დააზიანებს. თუ ამ თანხას დავუმატებთ აზიის განვითარების ბანკიდან გამოსაყოფ 300 მილიონსაც, ქვეყნის საგარეო ვალი უკვე 3,7 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ საგარეო ვალის მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 32 პროცენტამდე გაიზრდება(!ძ.

როგორ მოგწონთ მშპ-თან საგარეო ვალის ასეთი თანაფარდობა? შემაშფოთებელი ნიშნულიაო, არ მალავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი გამოცდილი ფინანსისტები, **თავად ხელისუფლებას კი, როგორც ჩანს, სულაც ფეხზე ჰკიდია ეს რაღაც ვალები და ყინჩად გაიძახის: მოგცლიათ ერთი, ახლა მსოფლიო კრიზისია, ვალებს ყველა ქვეყნის ხელისუფლება იღებს და რაღა ჩვენი გაგიკვირდათო. რაც შეეხება საგარეო ვალის მშპ-თან შეფარდებას, მაინც და მაინც არც ეს უფრთხობს ძილს, რამეთუ წინ მშვენიერი მაგალითი უდევს — ამერიკაში ეს თანაფარდობა 100 პროცენტს, ხოლო იტალიაში თურმე 150 პროცენტსაც კი აღწევს. ჰოდა, რაღა „ჩამორჩენილებს“ მიბაძონ, არ ურჩევნიათ, „მოწინავეებს“ გაეჯიბრონ?!**

სხვა მხრივ რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ საქმეში შეჯიბრება რომ ნამდვილად გამოსდით, ამას დღეს საქართველოში ბრმაც კი ხედავს. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ სახელმწიფო ვალი უკანასკნელ ერთ წელიწადში 30 პროცენტით გაიზარდა და მან უკვე თითქმის 7 მილიარდ ლარს მიაღწია. ჯერ სადა ხართო, გვამხნევებენ ხელისუფალნი, 2013 წლამდე (ესე იგი პენსიაზე გასვლამდეძ კიდევ ბევრის აღებას და შეჭმას მოვასწრებთო. ამათი მადის ამბავი რომ ვიცით, ქადილისა არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ თქვეს, შეასრულებენ კიდეც!

შეიძლება მავანი შემომედავოს, შენ თუ ქვეყნის მოკეთე ხარ, რაღა ვალებს მისდექი, რატომ არ გინდა რუსეთთან მოგებული ომი ახსენო ან უცხოელი დონორებისგან მისაღები 4,5 მილიარდი დოლარი, ამ მიღწევაში ხომ ხელისუფლებას ლომის წილი მიუძღვისო. გამომიჭირეს და ეგ არი, მართლაც ვერაფერს ვიტყვი, გარდა ერთისა — იმ 4,5 მილიარდი დოლარიდან დაახლოებით 40 პროცენტი სესხი იქნება და მისი გადახდა ისევ და ისევ ჩვენს გაძვალტყავებულ ეკონომიკას მოუწევს.

ეს გარე ვალები, მაგრამ ხომ არ მოისურვებდით შიდა ვალებშიც ჩაგეხედათ? ალბათ არც ეს იქნება ზედმეტი იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ამ დღეებში 160 მილიონი ლარის ფასიანი ქაღალდების გამოშვებას იწყებს, რაც საქართველოს კომერციული ბანკებისთვის იქნება გადასახდელი. მთავრობას თუ დავუჯერებთ, ჩვენი ბანკები ხელისუფლების ამ სიკეთეს ვერასოდეს დაივიწყებენ, რადგან, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, ჭარბ ფულსაც გაასაღებენ და იქიდან მოგებასაც (პროცენტის სახითძ გამოკრავენ ხელს. ლაპარაკია იმ ჭარბ ფულზე (დაახლოებით 400 მილიონ ლარზეძ, რომელიც ბანკებს თურმე უქმად უდევთ და გაზრდილი საკრედიტო რისკების გამო ვერ გასცემენ. ჰოდა მთავრობა მათ აძლევს შანსს, ფული აამოძრაონ და მოგება ნახონ.

ეტყობა, ეს არ ესიამოვნა მსუნაგობით სახელგავარდნილ კახა ბენდუქიძეს და მთავრობას გაუმაძღრობა დასწამა, ურჩია ქამრები შემოიჭირეთ და ფული მომჭირნეობით ხარჯეთ, თორემ ეკონომიკა ჩაგივარდებათო (ვითომ უკვე ჩავარდნილი არ იყოსძ. ანდაზა: სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ალბათ, ბატონ კახაზეა ზედგამოჭრილი. როცა თვითონ საქართველოს ქონებას თქვლეფავდა, ძლომას ვერ იგებდა და ახლა იმავე საქმეში (გაუმაძღრობაშიძ ხელისუფლებას ადანაშაულებს, სალაფავზე მიშვებულებს მიუხტა და დინგის კვრით „აშანტაჟებს“.

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილს, მისი უპირველესი საქმე პიარია და ვიწრო ეკონომიკურ ჩარჩოებში მოქცევას ვერ ვაიძულებთ. აი, პიარკამპანიებს კი, იცოცხლეთ, კაცურად და დიდი პატრიოტული შემართებით უძღვება. თუ მას დავუჯერებთ, მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებსაც დაუბრუნებს, ეკონომიკასაც აუყვავებს და დემოკრატიის ახალ-ახალ ტალღებსაც აუგორებს. თუ ხალხი ჭკუას მოეგება და საპროტესტო აქციებს დაემშვიდობება, პრეზიდენტს დადინჯებული მუშაობის შანსი გაუჩნდება, აქეთ-იქით სირბილს მოეშვება და იმ ვალებსაც, ახლა რომ ედავებიან, სულ კაპიკ-კაპიკ გაისტუმრებს.

თქვენ რა, არა გჯერათ?!.

**ოთარ ხუციშვილი**

## „ბი-ბი-სი“

# ლავროვი კვლავ ჩვენკენ იშვერს ხელს

**„საერთაშორისო საზოგადოება ადრე თუ გვიან აგვისტოს მოვლენების შესახებ სწორ დასკვნებს გამოიტანს, რისი ნიშნებიც უკვე შეინიშნება, — ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა საქართველოს ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ-ოსეთის წინააღმდეგ აგრესიაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და კონფლიქტის შედეგებზე პასუხისმგებლობა მთლიანად ქართულ მხარეს დააკისრა.

ფაქტები უტყუარია. სიმართლე არ იმალება, რაზეც ის მოწმობს, რომ საერთაშორისო საზოგადოება ნელ-ნელა აცნობიერებს რაც მაშინ სინამდვილეში მოხდა. მასზე პასუხისმგებელი მთლიანად საქართველოს ხელისუფლება და პრეზიდენტი სააკაშვილია, რომელმაც ოსი ხალხის წინააღმდეგ ღია აგრესია განახორციელა. რაც შეეხება ქართველ ხალხს, ჩვენ მათ უდიდეს პატივს ვცემთ და მათთან ურთიერთობას ვერც სააკაშვილი და ვერც მისი სუფლიორები გაგვიფუჭებენ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას დღესაც ავიწროებენ, — განაცხადა ლავროვმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მოდი დავნაძლევდეთ!

**საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის მსურველებთან შეხვედრას სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასმა“ უმასპინძლა... შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“. სასტუმროში შეკრებილმა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, მედია-საშუალებების ხელმძღვანელებმა, ჟურნალისტებმა მოისმინეს ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებისა და არხის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით.**

# „იგი უკვე გენერალურია“...

შეხვედრაზე, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის მსურველი 16 კანდიდატიდან 11 დაესწრო, რატომღაც არ მოვიდა ე. წ. სახელისუფლებო კანდიდატი გიორგი ჭანტურია. არადა, ის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებიც ამ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ დაპატიჟეს.

კონკურსში მონაწილე 11-ვე კანდიდატი — ზურაბ მაღალაშვილი, ბაჩუკი ბახტაძე, გიორგი კაჭარავა, ლალი მოროშკინა, ერასტი (ეროსიძ კიწმარიშვილი, თამაზ ბიბილური, მერაბ კელენჯერიძე, მარეხ ჩოფიკაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, მარინა სალუქვაძე, ზვიად ქორიძე აქტიურად ჩაერთო დისკუსიაში. ბუნებრივია, პირველივე კითხვა ბატონ გია ჭანტურიას არმოსვლამ განაპირობა. შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ, რამდენად ეკისრება მას პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის საქმიანობაზე, ფინანსურ დარღვევებზე. ზვიად ქორიძემ და ერასტი კიწმარიშვილმა აღნიშნეს, რომ ვინაიდან იგი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორის მოადგილე, ბუნებრივია, ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას, ტელევიზიაში ბოლო დროს მომხდარზე, მათ შორის ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით. თამაზ ბიბილურმა კი განაცხადა, რომ ჩატარდება ჟურნალისტური გამოძიება და შეისწავლიან ბოლო ორი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას. „არსებობს ეჭვი, რომ იქ რაღაცეები ხდებოდა“... უნდა გავიგოთ, რატომ გადადგა ყუბანეიშვილი?

შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ გია ჭანტურია იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი. ეს სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ასეაო. ბაჩუკი ბახტაძე ნოსტრადამუსობაზე თავს არ სდებს, მაგრამ ჰგონია, რომ გია ჭანტურია უკვე არის გენერალური დირექტორი.

ბუნებრივია, ამ აზრმაც კამათი გამოიწვია: თუ წინასწარ ვიცით, რა მოხდება, მაშინ რატომ ვიკრიბებით? გამოდის, რომ ისეთი სუსტები ვართ, ანგარიშს არავინ გვიწევს. მაგრამ მოროშკინამ პესიმისტური ნოტა გადაფარა თავისი ოპტიმიზმით, რომ ფარ-ხმალის დაყრას არავინ აპირებს და ბოლომდე იბრძოლებენ. მისი თქმით, არსებითია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ ნდობის დაბრუნება, რომელიც საერთოდ არ არსებობს ქვეყანაში, ამის მიუხედავად, ყველა ტრიბუნა უნდა გამოყენებულ იქნეს



სალი აზრის გამოსახატავად.

ერასტი კიწმარიშვილმა კი განაცხადა, რომ ის, რისი მიღწევაც ბოლოდროინდელი აქტიურობით ხელისუფლებას სურდა, ამის საშუალებას მას არ მივცემთ. ასე მარტივად ისინი ვერ შეძლებენ, როგორ და რა ფორმით მართონ მომავალი წლების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებელიო: „ვფიქრობ, უნდა დავიბრუნოთ მეტი თავისუფლების ხარისხი, რომელიც ჩვენ გვქონდა“. ერასტი კიწმარიშვილის თქმით, არსებითია საზოგადოებრივ მაუწყებელში ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ადამიანი მოვიდეს: „თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, ეს ძალიან დიდი წარმატება იქნება. შემდეგ ნაბიჯებს კი ამ წარმატების გაფართოება მოჰყვება... იმედია, რომ ეს ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობთ, პესიმისტური არ იქნება იმ თვალსაზრისით, რომ მაინც გააკეთებენ“... ვერ გააკეთებენ, არ შეგეშინდეთო, ასე დაამშვიდა შეკრებილნი კიწმარიშვილმა.

ზვიად ქორიძეც ფიქრობს, რომ საზოგადოებამ ეს მაუწყებელი უნდა დაიბრუნოს და გაათავისუფლოს იმ პოლიტიკური თუ სხვაგვარი წნეხისგან, რომლის გავლენის ქვეშაც მაუწყებელი მემკვიდრეობით გადავიდა. ვერც ერთმა გენერალურმა დირექტორმა კანონით მინიჭებული ვადა ბოლომდე ვერ მიიტანაო.

შეხვედრის მონაწილე კანდიდატებმა განსაკუთრებული ყურადღება II ტურზე გაამახვილეს, რომ მაშინაც უნდა გაიმართოს ანალოგიური შეხვედრები და საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის არჩევის პროცესში სერიოზულად ჩაერთოს სამოქალაქო სექტორი.

ბორდი 10 აგვისტოს დაასახელებს გამარჯვებულს და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვინაობა ცნობილი გახდება.

შეხვედრის მონაწილეებმა შეიმუშავეს სპეციალური მიმართვა, სადაც ისინი მოითხოვენ, პირველი არხის პირდაპირ ეთერში გადაიცეს საჯარო დებატები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ II ტურში გასული კანდიდატები, სამეურვეო საბჭოს წევრები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

მეორე მოთხოვნაა, 7 და 8 აგვისტოს პირდაპირ ეთერში გადაიცეს გასაუბრებები საბჭოს წევრებსა და კანდიდატებს შორის;

არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის დღეს კი I არხის პირდაპირ ეთერში გაიმართოს საჯარო შეხვედრა სამეურვეო საბჭოს წევრების, ახალი გენერალური დირექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

მიმართვაში ჩაწერილია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის არჩევნების გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარებისთვის სამეურვეო საბჭომ ეს მოთხოვნები უნდა შეასრულოს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## კულტურის სამინისტროს გასაგონად



# თენგიზ არჩვაძის ვარსკვლავი ცაშია!..

**ქართული კინოს ისტორიაში ვერ იპოვით მსახიობს, რომელსაც ამდენი – 150-ზე მეტი – სახე შეექმნას სრულ თუ მოკლემეტრაჟიან ფილმებში...**

ქართული კინოს ისტორიაში აქა-იქ თუ მოიძებნება მსახიობი, რომლის ნიჭსა და ოსტატობას ასე შენივთოდეს შესანატრი ადამიანური თვისებები – ზნეობა, მამულიშვილობა, ჩვენთა დიდთა წინაპართა ალიკვალობა, ოჯახიშვილობა, მეგობრის, ახლობლის ჭირის გაზიარება, ლხინში მხრების გაშლა...

**ეს თენგიზ არჩვაძეა...**

დროს თავისი გააქვს – უკვე რამდენიმე წელია ბატონი თენგიზი აღარ ეწევა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას, არაგვის ხეობაში კოხტა აგარაკი შეიძინა და თითქმის მთლიანად გაერიდა დიდი ქალაქის რია-რიას, მეტადრე, რომ იგი პოლიტიკაში არასდროს ჩარეულა და ქართველთა ეს გაუთავებელი ქიშპობაც მოსწყინდა, თუმცა, ამ ბედუკუღმართი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა დარდად აწევს გულზე და ხანდახან გრიგოლ ორბელიანის სტრიქონებსაც ამოათქმევინებს:

**„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,**
**დაემხო ჩემი სამშობლო,**
**გულს მიკლავს უიმედობა,**
**საფლავს ჩავდივივარ მკვნესარი“.**

ჰოდა, ცხოვრობს ასე ბატონი თენგიზი, მის უსაყვარლეს ქალაქში კი ჟამიდან-ჟამზე თეატრების, საკონცერტო დარბაზებისა თუ კინოთეატრების წინ იხსნება ქართული თეატრისა და კინოს ამაგდარი მსახიობების „ვარსკვლავები“... იხსნება და იხსნება... **ხოლო, თენგიზ არჩვაძე თვალს მოეფარა?!. ხოლო, თენგიზ არჩვაძე გადაგავიწყდათ?!. საწუხარ არს ესე – საქართველოს კულტურის სამინისტროს მუშაკებო, პატივცემულო დავით ოქიტაშვილო – „ვარსკვლავთმრიცხველო“!** ბატონ თენგიზს რა ჩემი „აპეკუნობა“ სჭირდება, ის კი არა, შეიძლება გამიჯავრდეს კიდეც, არ იყო საჭირო ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებაო, მაგრამ სიმართლეს რა ვუყოთ?!



3 აგვისტოს საყვარელ მსახიობს 77 წელი შეუსრულდა, ეჭვი არ მეპარება, რომ ჯანმრთელობას უსურვებს მას უამრავი თაყვანისმცემელი! ერთი საერთო მეგობარი პოეტის თქმისა არ იყოს, თენგიზის ვარსკვლავი ცაშია და ღმერთმა დიდხანს ნუ ჩააქროს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ინფორმაცია

### საზღვარი ისედაც ჩაკეტილი იყო

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე დე ფაქტო ცხინვალის რეგიონთან ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვას „კოკოითის მხრიდან კარიკატურულ ჟესტად აფასებს“.**

**ის, რომ სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერმა ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვის ბრძანება გასცა, კოკოითის მხრიდან კარიკატურული ჟესტია, რადგან საზღვარი ისედაც დიდი ხანია ჩაკეტილია, — აცხადებს ცინცაძე.**

**ამასთან, მისივე შეფასებით, კოკოითის ოცნებაა ახალი ომის დაწყება, რის კონტექსტშიც ის ქართული მხარის გამოწვევას ცდილობს.**

**კოკოითი უკვე შეუნიღბავად მოქმედებს, — განმარტავს პოლიტოლოგი.**

**შეგახსენებთ, რომ სეპარატისტული ცხინვალის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ქართული მხარის მიერ გახშირებული პროვოკაციებისა და ღორის გრიპის გავრცელების თავიდან აცილების მიზეზებით ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვის ბრძანება გასცა.**

**ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის შოთა მალაშხიას განცხადებით, დე ფაქტო ცხინვალის რეგიონთან ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვის შესახებ სეპარატისტების გადაწყვეტილება „შიდაპრობლემებიდან გამომდინარეობს“.**

**სეპარატისტებმა „დამოუკიდებლობით“ მიიღეს უარესი მდგომარეობა. შიგნით დაძაბულობაა, მართალია, ეს მოსახლეობის მხრიდან მიტინგების სახით გარეთ არ გამოდის, მაგრამ რეალურად ასეა. აქედან გამომდინარე, სეპარატისტულ ხელისუფლებას მოსახლეობის რეზერვაციაში მოქცევა სურთ, — აცხადებს მალაშხია, რომლის განმარტებითაც, „ასეთი რეჟიმები 21-ე საუკუნეში დიდხანს ვერ გაძლებენ“.**

### ნაღმზე აფეთქებული მოზარდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

**გორის ჰოსპიტალში მოთავსებული 14 წლის უჩა გიგუაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია.**

**ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რუსულ ნაღმზე აფეთქებულ მოზარდს პირველადი დახმარება უკვე ჩაუტარდა.**

**შეგახსენებთ, რომ შემთხვევა შიდა ქართლში სამშაბათს შუადღისას, სოფლებს, ტყვიავსა და ფლავს შორის მოხდა. უჩა გიგუაშვილი ძმასა და ბიძასთან ერთად სოფლის საძოვრებზე ნახირს მწყემსავდა, როცა იქვე გაბმულ მავთულში გაიხლართა. ამ დროს კი აფეთქება მოხდა.**

**სავარაუდოდ, აფეთქდა მხოლოდ დეტონატორი, ხის ფუღუროში დამალული 120-მილიმეტრიანი რადიომართვადი ჭურვი კი აუფეთქებელი დარჩა, რომელიც, სავარაუდოდ, მასშტაბური ტერაქტისთვის იყო დამონტაჟებული.**

ჯი-ეიჩ-ენი



# ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა შარშან აგვისტოში: ვინ დამარცხდა და ვინ გაიმარჯვა?

**მესამე წერილი შემდეგნაირადაა სახელდებული: *„აგვისტოს კრიზისი კავკასიაში და მისი შედეგები“*: ავტორია ალექსანდრე სკაკოვი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის ახლო საზღვარგარეთის პრობლემათა განყოფილების უფროსი (მოსკოვი, რუსეთი).**



სიტუაცია, რომელიც კავკასიაში ყალიბდებოდა 2008 წლის ზაფხულამდე, განისაზღვრებოდა ძირითადი მოთამაშეების, აშშ-ისა და რუსეთის ძალთა ბალანსითა და პარიტეტით – პირველ რიგში; მეორე პლანის მოთამაშეთა სახით გამოდიოდნენ ევროკავშირი, თურქეთი, ირანი. მდგომარეობის განმუხტვა ხდებოდა საქართველოს ინიციატივით, რომელიც დაინტერესებული იყო მშვიდობისმყოფლური ოპერაციების ფორმის შეცვლითა და ნატოში შესვლით – ეს ყველაფერი მას სჭირდებოდა ამბოხებულ ავტონომიებზე კონტროლის დამყარებისა და რეგიონის ლიდერ ქვეყნად გადაქცევისათვის.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა სამხრეთ ოსეთში საქართველოს მიერ საომარი ოპერაციის დაწყების შემდეგ. სწორედ ამან განაპირობა მოვლენათა შემდგომი მსვლელობა და როგორც არ უნდა მოქცეულიყო რუსეთი ამა თუ იმ მომენტში, სტატუს-კვოსკენ დაბრუნება და წამოჭრილი თუ გამწვავებული პრობლემების გადაჭრა უკვე აღარ ჩანდა შესაძლებელი.

ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და მის უმაღლეს წერტილს – სამხრეთ ოსეთში 8 აგვისტოს ღამეს თბილისის სამხედრო ოპერაციას როცა ვეხებით, უნდა შევნიშნოთ, რომ 15 წელზე მეტხანს რუსეთი მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მკაცრად ასრულებდა სამშვიდობო ფუნქციებს, რეალურად იღვწოდა რეგიონში მშვიდობისა და სიწყნარის შესანარჩუნებლად.

2008 წელს, აგვისტოში, საქართველო წავიდა სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ამ დროს შეერთებული შტატები გამოვიდნენ ეგებ კონფლიქტის მხარედ არა, მაგრამ ინფორმაციული ომის მხარედ – რეალურად, სავსებით დაუჭირეს რა მხარი თბილისის მოქმედებებს. უფრო მეტიცაა ცნობილი – აშშ და პირადად პრეზიდენტი ჯ. ბუში ძალისმიერი აქციის მომხრე აფხაზეთის წინააღმდეგაც იყვნენ...

ცხინვალის კონფლიქტის დასაწყისიდანვე ვაშინგტონს უცვლელად ეკავა თბილისის მთავარი მფარველის ნიში, კატეგორიულად არ სცნობდა მოსკოვის ქმედებებს და უარყოფდა ნებისმიერ შესაძლო კომპრომისებს. უეჭველია, რომ სწორედ შტატები გამოდიან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს პერსპექტიული შესვლის მთავარ ლობისტად. ეს პოზიცია ალბათ იგივე დარჩება, თეთრ სახლში ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგაც, თუმცა მოცემულ შემთხვევაში რიტორიკა, სავარაუდოდ, ნაკლებ აგრესიული გახდება, მოქმედებები კი – ნაკლებ მომწოლი; და მაინც, თვალში საცემია ერთი ფაქტი: ვაშინგტონის არც რიტორიკა და არც მოქმედებები მოსკოვთან მიმართებით პრაქტიკულად არ შეცვლილა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მერეც, რუსეთის ფედერაციის მისამართით ყველა მუქარა გახმოვანებული იყო ჯერ კიდევ ამ აღიარებამდე, მის „დასასჯელად“ ახალი იდეები არ გამოჩენილა.

რუსეთს რომ გაეწელა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, აშშ-ის მხრიდან მოწოლა ალბათ მოიმატებდა. შესაძლოა, რომ ვაშინგტონის რიტორიკის გრადუსმა მოსკოვთან დამოკიდებულებაში უახლოეს თვეებში კვლავაც თანდათან დაიწიოს, რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ აშშ-ის შიდა პრობლემებთან, არამედ მსოფლიო არენაზე სიტუაციასთანაც. აღვნიშნოთ აგრეთვე რუსეთში აშშ-ის ელჩის დ. ბაიერლის გასაკვირად თავშეკავებული და შემარიგებელი გამოსვლა (22 აგვისტოსძ – საქართველოში კონფლიქტი სერიოზულ ზიანს არ მიაყენებს რფ-ისა და აშშ-ის ეკონომიკურ ურთიერთობებს და არ აისახება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან რუსეთის მიერთების პერსპექტივაზეო.

„ახალი ევროპის“ პოზიცია თბილისთან, აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ირგვლივ კრიზისთან და ალიანსში მისი ინტეგრაციის პერსპექტივებთან დამოკიდებულებით ვერ ჩაითვლება ერთიანად. არსებობს გარკვეული ანტირუსეთული „ბირთვი“. ის საფუძველი გახდა ბოლო თვეებში მყარი კოალიციის ფორმირებისათვის წამოწყებული ცდისა. იქ შედიან პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უკრაინა. ამ „ბირთვს“ ინტუიტიურად ეტმასნებიან ჩეხეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რომლებსაც არა აქვთ განზრახული „რუსეთულ იმპერიალიზმთან მებრძოლთა“ პირველ რიგებში დგომა, მაგრამ საქართველოს მიმართ საერთო ევროატლანტიკურ ხაზს უდგანან მხარში, თანაც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე; დაბოლოს, ისეთი ქვეყნები, როგორიც სლოვაკეთი და სერბეთია, მაქსიმალურად ემიჯნებიან ანტირუსეთულ კომპანიაში მონაწილეობას, ცდილობენ რა ნეიტრალური პოზიციის დაჭერას.



საზოგადოებრივი აზრიც გვარიანად პოლიტიზებულია „ახალი ევროპის“ ქვეყნებში. ასეა თუ არა, უმეტეს შემთხვევაში ვერ იტყვი, თითქოს მათ ერთიანი ანტირუსეთული პოზიცია აქვთ (გარდა ბალტიისა და ეგებ პოლონეთისაძ. მაგალითად, ერთობ თავისებური პოზიციით გამოვიდა ჩეხეთის პრეზიდენტი ვ. კლაუსი. 15 აგვისტოს მან განაცხადა, რომ ერთმნიშვნელოვნად გმობს სამხრეთ ოსეთზე საქართველოს შეტევას, ამ რეგიონში მშვიდობიან მოქალაქეთა დახოცვას, ისევე როგორც რუსეთის ჯარების მასირებულ ინტერვენციას. ამასთან კოსოვოს პრეცედენტმა რუსეთს შეაძლებინა თავისი ინტერვენციის სრული გამართლება. ვ. კლაუსის სიტყვებით, „არ შეიძლება პრობლემის გამარტივებული განხილვა „კეთილი საქართველოსა“ და „ბოროტი რუსეთის“ შუქზე. მან ხაზგასით თქვა, რომ არ იზიარებს პოლონელი, ლატვიელი, ესტონელი, ლიტველი და უკრაინელი კოლეგების პოზიციას.

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის რ. ფიცოს თქმით (13 აგვისტოძ, კავკასიაში სამხედრო კონფლიქტი პროვოცირებულია საქართველოსაგან. „მე სიტუაციას შავ-თეთრად არ შევაფერადებდი, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი. ვითარება ხომ ვიღაცას მიერაა პროვოცირებული და ხომ მოჩანს, ვისგანაც. რეაქცია მერე იყო და ძალიან ძლიერიც“.

სამხრეთ ოსეთში თბილისის სამხედრო აქციაზე მოსკოვის ამ რეაქციამ და დასავლეთის, პირველ ყოვლისა ვაშინგტონის ფაქტობრივმა უილაჯობამ, რაღაცა დროით მაინც, შეასუსტა ევროატლანტიკური ვექტორი ბაქოს პოლიტიკაში. საქართველოს გარშემო კრიზისის დროს აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის განცხადებები (პირველი გამოსვლა ქვეყნის პრეზიდენტის ი. ალიევისა მხოლოდ 21 აგვისტოს შედგაძ, თუმცა რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიდან გამოდიოდა, მაინც გამოირჩეოდა თავშეკავებით. აშკარაა, აზერბაიჯანში არ ისურვებდნენ საკუთარი ქვეყნის ნახვას საქართველოს მდგომარეობაში, ხოლო შესაძლო მინიშნებებმა და პირდაპირმა დარწმუნებებმა, რაც მოდიოდა უკრაინასა და აზერბაიჯანზე რუსეთის უცილობელ თავდასხმაში დაჯერებული ანტირუსეთულად განწყობილი ევროპული პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისაგან, ამ რესპუბლიკაში სათანადო გამოხმაურება ვერ ჰპოვეს...

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა უნდა იყოს თანმიმდევრული და მტკიცე. ის ცდები, რომ უნდა უზრუნველყოფილი იქნას რუსეთის ჯარების გამოყვანა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან და იქ ევროკავშირის მშვიდობისმყოფელთა შეყვანა, უსიტყვოდ უკუსაგდებია. სავსებით ცხადია, რომ მედვედევ-სარკოზის შეთანხმების ასო-ასო გაყოლით რუსეთის ჯარებს არა აქვთ კოდორის ხეობის ზემო ნაწილში, ცხინვალის ჩრდილოეთით ქართულ ანკლავებში, ლენინგორის (ჩვენი სახელდებით, ახალგორის – **თ.ე.**ძ აღმოსავლეთ ნაწილში ყოფნის (აგრეთვე საქართველოს ზუგდიდის რაიონში დარჩენისძ უფლება, მაგრამ იქ არ არის აკრძალული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალთა დისლოკაცია. უსაფუძვლოა საკითხის დაყენება იქ ევროკავშირის დამკვირვებელთა თუ მშვიდობისმყოფელთა შეყვანის შესახებ, ეს აბსოლუტურად არაა ნავარაუდევი არც მედვედევ-სარკოზის გეგმით, არც სხვა საერთაშორისო შეთანხმებებითა და ვალდებულებებით; არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი, როგორც აღიარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტებისა არ შეიძლება იყოს მოლაპარაკების საგანი რუსეთის ფედერაციისთვის.

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძემ.**

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 153, 154.**

◎ დათვი ევროპასაც ბაბაიას აძახებინებს!

**2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან ერთი წელი სრულდება. რუსეთის სამხედრო ინტერვენციას მსოფლიოში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ამის დასტური თუნდაც ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით შექმნილი, ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის საქმიანობაა, რომელიც სწორედ ამ მოვლენას შეისწავლის. კომისიამ დასკვნა მიმდინარე წლის სექტემბრისთვის უნდა გამოაქვეყნოს. რამდენად მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული დოკუმენტი საერთაშორისო საზოგადოებისთვის და, რუსეთის მხრიდან რა მოქმედებებს უნდა ველოდოთ მომავალში? — ამ და სხვა საკითხებზე „მედიანიუსი“ პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს მალხაზ მაცაბერიძეს ესაუბრა.**

# ტალიავინის კომისიას რუსეთი აშანტაჟებს?..

**— ბატონო მალხაზ, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით მომუშავე საერთაშორისო კომისიის დასკვნა საქართველოს ხელისუფლების ან რუსეთის ხელისუფლების დადანაშაულების შემთხვევაში?**

— ჩემი აზრით, ტალიავინის კომისია რუსეთის მძლავრი ზეწოლის ქვეშ არის მოქცეული. რუსეთის პროკურატურამ ცნობილ მოვლენებზე ე.წ. დასკვნა 280 ტომად გამოაქვეყნა. შემდეგ იყო შეხვედრა ჰაიდი ტალიავინთან და კომისიის წევრებთან, ამას მოჰყვა რუსეთის განცხადებები, რომ კომისია ობიექტური იქნება. ეს კი, რუსული ტერმინოლოგიით იმას ნიშნავს, რომ კომისია რუსეთის შეთავაზებულ იმ ვერსიას უნდა დაეთანხმოს, რომლის თანახმადაც, ომი საქართველომ დაიწყო. ამას რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების დასადასტურებლად და საქართველოს წინააღმდეგ ახალი პრეტენზიების წასაყენებლად გამოიყენებს, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილის ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. შედეგად, შესაძლოა, ახალი აგრესიული გეგმების მოწმენი გავხდეთ. რუსეთს ამ კომისიის ექსპერტებზე მძლავრი ზეწოლის საშუალებები აქვს — კომპანია „გაზპრომს“ დიდი ხელები და ბევრი ფული აქვს. მაგრამ იგივე კომისია, ამავდროულად, ამერიკელთა პოზიციის გათვალისწინების აუცილებლობის წინაშე დგას, როგორც თავის დროზე მეთიუ ბრაიზამ თქვა.

7 აგვისტო არ არის ომის დაწყების თარიღი, არამედ ომი აგვისტოს დასაწყისში, რუსული მხარის პროვოკაციებით, დაბომბვებით დაიწყო, ანუ საქართველოსთვის ომის დაწყების დაბრალება უნდა გამოირიცხოს და ტალიავინის კომისიის დასკვნაში, ალბათ, საქართველოს მხრიდან პროვოკაციაზე აყოლა დაფიქსირდება. ევროკავშირის პოზიციაც ასეთი შუალედური და დაბალანსებულია, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. სავარაუდოდ, კომისიის დასკვნა დაბალანსებული იქნება — თუმცა, უფრო რუსეთის დამნაშავეობის აღნიშვნით, რადგან მან ძალა გადაჭარბებით გამოიყენა, საერთაშორისო მისიები განდევნა და ა.შ. მაგრამ არ მგონია, რომ ევროკავშირმა ერთმნიშვნელოვნად გაბედოს რუსეთის დადანაშაულება, რადგან ეს რუსეთთან დაპირისპირება იქნება. ამასთან, ევროპას ილუზია აქვს, რომ რუსეთი კარგი გახდება.

**— რამდენად ადეკვატურია ევროპისა და აშშ-ის რეაქცია რუსეთის აგრესიისადმი?**

— რუსეთი რომ კვლავაც აგრესიულად გამოიყურება, ამაში მნიშვნელოვან როლს ის ფაქტი ასრულებს, რომ იგი, ფაქტობრივად, არ დასჯილა. მრისხანე განცხადებების გარდა, რუსეთს თავის თავზე არაფერი უგრძვნია ისეთი, რომელიც მას უფრო ფრთხილს გახდიდა. რუსეთს მხოლოდ ის უთხრეს, მეტი აღარ გააკეთო, რაც არც ისე სერიოზული საზღაურია რაღაცის გაფუჭების გამო.

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთის სამხედრო აგრესიის საბაბი ის იყო, რომ მას მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება არ მოსწონს თუ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ისედაც იგეგმებოდა?**

— რუსეთს საქართველოს ნებისმიერ ხელისუფლებასთან ექნება პრობლემები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად მზად იქნება. რუსეთი საქართველოში ხელების ფათურსა და თავისი იმპერიული ზრახვების დაკმაყოფილებას შეეცდება. ამ ინტერესში კი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა არ შედის. რუსეთს საქართველოს დაქუცმაცება უნდა, რის პოლიტიკასაც ის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ახორციელებს. თავი არავინ მოიტყუოს იმით, რომ ხელისუფლებიდან სააკაშვილის წასვლის შემთხვევაში რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში უკეთესი გახდება.




**— აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა ერთ-ერთი გამოსვლისას აღნიშნა, რომ დასუსტებული რუსეთი დათმობებზე წავა...**

— დასუსტებული რუსეთი 1917 წელს კავკასიიდან ერთ თვეში გაიქცა. რუსეთის მილიონიანმა არმიამ, რომელიც კავკასიას 100 წელი იპყრობდა, სამხრეთ კავკასია თურქეთს შეატოვა, რომელთან ომიც რუსეთმა დაიწყო. ამდენად, დასუსტებული რუსეთი არა მარტო დათმობებზე, არამედ საკუთარი ინტერესების მნიშვნელოვან გადასინჯვაზეც არის წამსვლელი.

**— ბატონო მალხაზ, ხშირად საუბრობენ, რომ რუსეთმა, შესაძლოა, საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი აგრესია არ გამოიყენოს და საკუთარი მიზნის მიღწევას პრორუსული ძალების ხელისუფლებაში მოყვანით შეეცადოს. რამდენად რეალურია ამის განხორციელება?**

— საქართველოში ღია პრორუსული ძალები არ არსებობენ. საქართველოსადმი რუსეთის პოლიტიკა იმდენად ამაზრზენია, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ იტყვის ღიად, რუსეთზე ორიენტირებული ვიქნებიო, რადგან ამით ხალხის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს. ფასეულობაზე კი ძნელია მკითხაობა. თუმცა, რუსეთი რომ თავისთვის მეტ-ნაკლებად სასურველი ძალის მოყვანას შეეცდება, ან, ალბათ, არსებულ ხელისუფლებაშიც ჰყავს თავისი გავლენის აგენტები, წურც ამას გამოვრიცხავთ. ღია და აშკარა აგრესიის გარდა, რუსეთი ქვეყნის შიგნიდან მოქმედებასაც შეეცდება, რისი დამუშავებული ტექნოლოგიებიც მას გააჩნია.

◎ ეკონომიკური კალეიდოსკოპი



# კოლაფსი

## 1. „უკან, კომუნიზმისკენ... “

ახლახან, ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც **ჯ. სოროსიც** ესწრებოდა, მომხსენებელმა, ცნობილმა რუსმა ეკონომისტმა მიხეილ ხაზინმა განაცხადა, რომ ეკონომიკური კრიზისის კატასტროფისგან მსოფლიოს გადარჩენა შეუძლია მხოლოდ ახალ „გლობალურ პროექტს“, რომლის სახელია „განახლებული **სოციალისტური იდეა“**.

ოპონენტებმა ეს განცხადება არასერიოზულად მიიჩნიეს, მაგრამ მ. ხაზინმა განმარტა: იმას, რომ ადრე თუ გვიან ასეთი კრიზისი და მისგან გამოწვეული კოლაფსი მოხდებოდა, **ზოგიერთი** დიდი ხნით ადრე გვიწინასწარმეტყველებდა. აი, მაგალითად, — განაგრძო მან, — და ასეთი ციტატა წაიკითხა:

**„კაპიტალის მფლობელები მომავალში წაახალისებენ მუშათა კლასის მიერ სულ უფრო მეტი ძვირფასი საქონლის, შენობებისა და ტექნიკის შეძენას, რითაც მათ ბანკებიდან სულ უფრო ძვირი კრედიტების აღებისაკენ უბიძგებენ. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ისინი (მუშათა კლასი) ამ კრედიტების გადახდას უკვე ველარ შეძლებენ. გადაუხდელ კრედიტებს კი ბანკების გაკოტრებისკენ, ხოლო შემდეგ სახელმწიფოს მიერ მათ ნაციონალიზაციისკენ მივყავართ, რაც, საბოლოო ანგარიშით, კომუნიზმს წარმოშობს.“**

ეს კარლ მარქსის ნაშრომიდანაა, — დასძინა მ. ხაზინმა.

გაოცებულმა მსმენელებმა, მათ შორის ჯორჯ სოროსმაც, მარქსის ამ ციტატას ტაში კი დაუკრეს, მაგრამ გაეცინათ: „ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ... შემდეგ რა იქნება?“

მართლაც, მოსაზრება, რომელიც 150 წლის წინათ კ. მარქსმა გამოთქვა, ფორმალურად ლოგიკურია. მაგრამ... ეს მართლა მიგვყავს კომუნიზმთან? ან როგორი იქნება ასეთი „კომუნიზმი?“

სამაგალითოდ თუნდაც დღევანდელი ეკონომიკური კრიზისიც კმარა.

დღევანდელი კრიზისის ვითარებაში, მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებმა თავიანთ საბანკო სისტემას უკვე 5,5 ტრილიონი ფუნტი სტერლინგის (9,1 ტრილიონი აშშ დოლარისძ დახმარება გაუწიეს. ამ ქვეყნებს შორის პირველ ადგილს კი **დიდი ბრიტანეთი** იკავებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ამ ქვეყანამ უშუალოდ თავისი ბანკების მხარდასაჭერად 1 ტრილიონ 227 მილიარდი ფუნტ სტერლინგზე (2.03 ტრილიონი აშშ დოლარზეძ მეტი დახარჯა, რაც მისი წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის 81,8 პროცენტს შეადგენს. ბანკებს დახმარება გაეწიათ როგორც უშუალოდ კრედიტების გაცემით, ისე სახელმწიფოს მიერ ბანკების აქციების, მათ შორის საკონტროლო პაკეტების შეძენის გზით.

ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კიდევ ერთხელ გააფრთხილა მსოფლიოს ქვეყნები, მათ შორის, პირველ რიგში, „დიდი ოცეული“, რომ საბანკო სექტორისა და, საერთოდ, თავისი ქვეყნის ეკონომიკის „სტაბილიზაციის“ მიზნით ასეთი დიდი ხარჯების გაწევის გამო დიდ ბრიტანეთს მოსალოდნელია შეექნას სახელმწიფო ბიუჯეტის უპრეცედენტო დეფიციტი ისეთი თანხით, რაც 2010 წელს მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 13,3 პროცენტს გადააჭარბებს (აშშ-ს 9,7 პროცენტიან დეფიციტთან შედარებითძ. ამის შედეგად მნიშვნელოვნად დასუსტდება ბრიტანეთის ეროვნული ვალუტის — ფუნტი სტერლინგის პოზიციები. მომდევნო წელს კი ბრიტანეთს უფრო დიდი საბიუჯეტო დეფიციტი ელოდება, რადგან ქვეყნის ეროვნული ვალები სხვა ქვეყნებისაზე უფრო სწრაფად გაეზრდება.

მაგრამ, თავში ნათქვამს რომ დავუბრუნდეთ, გამოდის, რომ საბანკო კაპიტალის, ასე ვთქვათ, „ნაციონალიზაციის“ იძულებითი ღონისძიებები, რასაც დღეს საბაზრო ეკონომიკის „გასამაგრებლად“ ძირითადად „დიდი ოცეულის“ ქვეყნები (და, განსაკუთრებით, ბრიტანეთიძ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ახორციელებენ, „კომუნიზმის დასამყარებლად“ არასაკმარისია. მართალია, კ. მარქსის ციტატამ აპლოდისმენტები კი დაიმსახურა, მაგრამ აუდიტორია მასში, როგორც ჩანს, მარქსისეულ თეორიულ კომუნიზმს გულისხმობდა და არა სსრკ–ში აპრობირებულ „საოცნებო“ კომუნიზმის პირველ ფაზას — სოციალიზმს, თუნდაც, როგორც ბოლო ათწლეულში უწოდებდნენ, „განვითარებულ სოციალიზმს“, რომლის ავკარგიანობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე თუნდაც მისი არსებობის ხანგრძლივობით შეიძლება ვიმსჯელოთ.

## 2. რუსეთის კრიზისული საბიუჯეტო პრობლემები

მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 4 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში („რუსული რუბლი უფსკრულისკენ მიექანება“ძ ვწერდით, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკის ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად ეროვნული ვალუტის — **რუბლის კურსი ნარნარად, მაგრამ შეუჩერებლივ ეცემა.** რუსეთის ცენტრალური

იხ. 7 გვ.

გლობუსი

# იმედგაცრუების ერთი წელიწადი

ერთი წელი გავიდა ცხინვალის ომიდან, ემოციების, დუღილის, იმედგაცრუების ერთი წელი. ისტორიისთვის ერთი წელი წამიერი გაელვებაა. ნებისმიერი ადამიანისთვის, მისი შეზღუდული შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი. და რაოდენ დასანანია ერთი წლის თვალდახელშუა გაქრობა, სიკეთის, სიხარულის, სულიერი კმაყოფილების, დადაგებული სოციალური ყოფის გარეშე.

**გასული წლის აგვისტოდან დღემდე ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენებს, რომელზეც ფიქრი წარმოუდგენელიც იყო არათუ გასულ 8 აგვისტოს, არამედ მანამდე. თვალშისაცემი და დასანანი კი ის არის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი იოლად შეეგუა, როგორც გასული აგვისტოს მოვლენებს, ისე ამ მოვლენებიდან გამომდინარე შედეგებს. საზოგადოება მიჰყვა ხელისუფალთა მიერ შექმნილ ხელოვნურ დინებას თავის სატყუარა განცხადებით — მაინც დაკარგული იყოო. საზოგადოებაზე დიდი დაღი დაამჩნია დამოუკიდებლად ცხოვრების გაუსაძლისმა ვითარებამ — სამოქალაქო ომმა, მხედრიონელთა თარეშმა, სახელმწიფო კორუფციამ, მინიმალური ადამიანური პირობების არქონამ, „მათ მიერ არჩეულთა“ მხრიდან გამუდმებულმა ზეწოლამ. შედეგი სავალალოა, ხალხი ველარ არჩევს ცუდსა და კარგს, დამნაშავეს და მართალს, რაც კარგად გამოჩნდა გასულ 12 აგვისტოს პარლამენტის შენობის წინ გამართულ სახალხო მანიფესტაციაში და ცეკვა-თამაშში.**

საქართველო სხვა ქვეყანაა, ყველასგან განსხვავებული — ტირილის ნაცვლად იცინის, სიცილის ნაცვლად ტირის. მამა — ბუშის არ იყოს — დინების ალმა მცურავი. ეს დიაგნოზი უფროსმა ბუშმა საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, გამსახურდიას მმართველობის დროს გამოიტანა. **ჯერ კეთება და შემდეგ ფიქრი ქართველი ხალხის ცხოვრების დამახასიათებელი თვისება გახდა. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც გასულ 12 აგვისტოს თავდავიწყებით იცეკვებ, ხმის ჩახლეჩამდე იყვირებ მიშა, სარკოს, ხოლო ერთი თვის შემდეგ ანტისახელისუფლებო გამოსვლებს მოაწყობ. ჩემი აზრით, გასულ 12 აგვისტოს პარლამენტის წინ მოწყობილი „პატრიოტული“ ჭიაკოკონა არაფრით არ ჩამოუვარდება 7-8 აგვისტოს ხელისუფალთა მიერ გადადგმულ, ქვეყნის მთლიანობის მომაკვდინებელ ნაბიჯებს. ოპოზიციისა და ხალხის მტკიცე განცხადება — რახან რუსს უნდა სააკაშვილი არ უნდა გადადგესო, ისეთივე გაუაზრებელი იყო, როგორც სხვა განცხადება. საინტერესოა, რას იტყოდნენ ისინი რუსს რომ ეთქვა დარჩესო? საზოგადოებამ და „სანაქებო“ ოპოზიციამ პიროვნება და ქვეყანა გააიგივა, რითაც ეს უკანასკნელი გადააყოლა მას. დღევანდელივით ჩამესმის ლავროვის არაორაზროვანი ნათქვამი — საქართველოს ბედი სააკაშვილზეა დამოკიდებულიო. მაშინ „კლდესავით მტკიცე“ საზოგადოებამ სხვა გზა აირჩია, ანუ ის, რასაც სხვაგან არასოდროს აირჩევდნენ. ისტორიაში უამრავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ტოვებს ომწაგებული ხელისუფალი თანამდებობას, მით უმეტეს, როდესაც ომის დაწყებაში ჩანს მისი წვლილი. არის შემთხვევები, როდესაც ომგამარჯვებულსაც ხალხი აღარ ენდობა. ამის მაგალითია ჩერჩილის დამარცხება არჩევნებში.** საქართველო უნიკალურია, ოღონდ ერთია, უნიკალურობით გამოწვეული ბოლმის ცრემლები დღესაც აღრჩობს. ცხინვალის მოვლენების შემდეგ, ერთი წლის თავზე რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს — საქართველოსთან მომავალში გამოსწორდება ურთიერთობა გასული წლის რეალობების გათვალისწინებითო. რუსეთმა გამოიტანა განაჩენი. მას ნაკლებად აინტერესებს სხვების, მათ შორის აშშ-ს აზრი. დასავლეთი კოსოვოს წართმევით ამშვიდებს სერბეთს — ევროკავშირში ერთად იქნებითო. არ მგონია სერბეთს კოსოვოსთან ერთად ევროკავშირში ყოფნამ ტერიტორიის დაკარგვის წუხილი აუნაზღაუროს. ანალოგიურ სატყუარაზე კარგა ხანია ლაპარაკობს რუსეთიც. მას კავკასიის ქვეყნების კონფედერაცია ჰქვია. ბაიდენის საქართველოში ვიზიტის დროს გაკვრით ითქვა ამის შესახებ, რაც მოსკოვ-ვაშინგტონის აზრთა თანხვედრას ნიშნავს.



საქართველოს ხელისუფალთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სრულიად უიმედო მდგომარეობიდან შეძლო გამოსვლა. წყალწაღებული გააფთრებით მოეჭიდა ხავსს და არა მარტო ამოფოფხდა ნაპირზე, არამედ შეტევაზეც გადავიდა. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის ვიზიტმა მიტინგებგამოვლილ ხელისუფლებას ახალი იმედი ჩაუსახა. ბაიდენის სტუმრობა ვასალის ლანძღვის ფონზეც რომ გამართულიყო, მარტო ვიცე-პრეზიდენტის ჩამოსვლის ფაქტი ხელისუფლების მხარდასაჭერად აღიქმებოდა. დატუქსვისთვის ვიცე-პრეზიდენტს არ აგზავნიან. ამას ადმინისტრაციის საშუალო რანგის მოხელეებიც კარგადართმევენ თავს. ხელისუფლებით გაბრუებული და ბაიდენის ვიზიტით გაწბილებული საზოგადოება ხავსს ეჭიდება და ცდილობს სტუმრის გამონათქვამებში ისეთი აღმოაჩინოს, რაც სააკაშვილის საწინააღმდეგო იქნება. ბაიდენის მხოლოდ ერთი გამონათქვამი, რომ ამერიკას სჭირდება სააკაშვილი, წონის ყველა სხვა „ანტისააკაშვილისეულ“ განცხადებას. ოპოზიციის სავალალოდ უნდა ითქვას, რომ მან ვერ დაარწმუნა აშშ-ს პოლიტიკური ელიტა სააკაშვილის ცუდ მმართველობაში. ძნელია დამრიგებლის დარწმუნება საკუთარი აღსაზრდელის მანკიერებაში, როდესაც თვით აღმზრდელი არის მანკიერი, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

**რუსეთის მიმართ ბაიდენის სააკაშვილის ენით ალაპარაკება აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ საქართველო, კავკასია, კასპის ზღვის აუზი ამერიკის სასიცოცხლო ინტერესთა ზონაა, რომელშიც მას კონკურენტის გარეშე სურს ყოფნა. სააკაშვილი აშშ-ს ინტერესების უცილებელი გამტარებელია. გასულ აგვისტოს მოვლენებში დიდია აშშ-ს იმ ადმინისტრაციის წვლილი. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ის დადებითად აღიქვამდა საქართველო-რუსეთის კონფრონტაციას, თუნდაც გაჭიანურებულს. ბაიდენის განცხადებიდან გამომდინარე ჭირს იმ დასკვნების გაკეთება, რომ ახალმა ადმინისტრაციამ მართლაც გადაწყვიტა რუსეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესება. როგორც ჩანს საქართველოსთან მიმართებაში ან ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ახალი სტრატეგია ან ოდნავი მოდიფიცირებით ისევ ისეთივეა, როგორიც იყო.**

როგორც აღვნიშნე, დაშამათებული ოპოზიცია ცდილობს თავისთვის სასარგებლო აღმოაჩინოს „რევიზორის“ გამონათქვამებში. მაგალითად, ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ „ამერიკას საქართველოში უნდა თანასწორუფლებიანი პარტნიორი, უნდა მეგობარი, უნდა პროგნოზირებადი სახელმწიფო, აქედან გამომდინარე დემოკრატიას მისთვის აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ დაიჯეროს მსოფლიოს პირველი ქვეყნისა და არშემდგარი, უსუსტესი სახელმწიფოს „თანასწორუფლებიანი“ პარტნიორობა. რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიულ აწმყოსა და მომავალს, ამერიკის იმ პარამეტრებით, რომლებიც მესამე სამყაროსთვის არის განკუთვნილი, საქართველოში არცთუ ურიგოდ არის საქმე. ტარდება არჩევნები, იმართება მიტინგები, პრესაში არის პრეზიდენტის გინება და ა. შ. ვაშინგტონმა ისიც კარგად იცის, თუ რა გაყალბებს აქვს ადგილი არჩევნების დროს, მაგრამ მას ხელს არ აძლევს მხილება. ის, რაც მრავალი წლის განმავლობაში ხდება არადემოკრატიულ საქართველოში თვალდახუჭული ოფიციალური ვაშინგტონის წინაშე, არ უნდა იძლეოდეს ალტაცების ნაპერწკალს ოპოზიციურ რიგებში, მაგრამ ისინიც ამერიკულს ძოვენ და ამერიკული სახრით იმართებიან. მათთვისაც ყოველგვარი ამერიკული ისეთივე ფეტიში საგანია, როგორც ხელისუფლებისთვის, თორემ მამამარჩენალს უამრავი ნაკლი აქვს სწორედ იმაში, რაშიც სხვას ჭკუას ასწავლის. ამერიკულ დემოკრატიაზე სამართლიანად, ფაქტებით, წერს ამ ქვეყნის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი თავის წიგნში „შეტევა გონებაზე“: **„ფედერალური მთავრობა აკონტროლებს ინტერნეტის იმ საიტებს, სადაც შედიხართ, მოიძევს იმ ადამიანთა სიას, ვისაც უგზავნით ან ვისგანაც იღებთ შეტყობინებას ელექტრონული ფოსტით, ან ტელეფონით. მთავრობა არ არის ანგარიშვალდებული სასამართლოს წინაშე თუ რაში იყენებს ის მიღებულ ინფორმაციას. მოქმედი ადმინისტრაცია (ბუში) ყველას გასაგონად აცხადებს, რომ უფლება აქვს გახსნას ნებისმიერი საფოსტო შეტყობინება, რომელსაც თქვენ იღებათ აშშ-ს ფოსტით, გარდა ამისა მოისმინოს თქვენი სატელეფონო საუბრები. მთავრობა ამისათვის არ იღებს სასამართლო ინსტანციის თანხმობას. მათთვის, ვინც კარგად იცის ამერიკის კონსტიტუცია, ეს ამბავი არასასიამოვნო სიურპრიზია, მაგრამ დღევანდელი ვითარების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ პრეზიდენტმა გამოაცხადა თავისი უფლება არათუ შეიჭრას, მოისმინოს, წაიკითხოს, არამედ გააკეთოს ეს რეგულარულად რიგით ამერიკელთა მიმართ“.**

კიდევ რას წერს გორი? — „თეთრმა სახლმა დაავალა გამოძიების ფედერალურ ბიუროს გაგზავნოს თავისი აგენტები ქვეყნის ბიბლიოთეკებში, რათა მათ დაადგინონ მკითხველთა სია და ლიტერატურა, რასაც ისინი ეცნობიან, გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ დაესწრონ საეკლესიო თათბირებს, მიტინგებს, პოლიტიკურ შეხვედრებს და სხვა საზოგადო ღონისძიებებს. რაც შეეხება ტელეფონის მოსმენებს, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მხოლოდ მას აქვს უფლება გააკეთოს ეს შემდგომშიც, მიუხედავად კონგრესის მიერ მიღებული კანონისა, რომელიც კრძალავს მსგავს არაკონსტიტუციურ ქმედებებს. მას შემდეგ, რაც პრესისთვის გახდა ცნობილი სატელეფონო საუბრების მასობრივი მოსმენის და მოქალაქეთა თვალთვალის ფაქტები, პრეზიდენტმა ბუშმა არათუ დაადასტურა, არამედ განაცხადა, რომ არ აპირებს აღკვეთოს ამერიკის მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევის მაგალითები?

საქართველო დედამიწის ზურგზე ის უნიკალური სახელმწიფოა, სადაც აშშ-ს საელჩოსთან არ იმართება საპროტესტო აქცია. გამონაკლისი იყო დავითაშვილის მიერ ორგანიზებული, საელჩოდან მოშორებით ჩატარებული მიტინგი. ოპოზიციონერთა თქმით, ბაიდენს მომიტინგეები უნდა დახვედროდნენ ანტისააკაშვილისტური და არა ანტიამერიკული მიტინგით. ოპოზიცია, ისე როგორც საზოგადოება წამითაც ვერ ითავისებს, რომ სააკაშვილის გალაღებაში სწორედ აშშ-ს მიუძღვის ბრალი. და ისევ გორი: „ბუშმა გამოაცხადა, რომ მას აქვს უფლება გასცეს ბრძანება ნებისმიერი ამერიკელი მოქალაქის დასაჭერად, ყოველგვარი სასამართლო სანქციების გარეშე, დაჭერილისთვის ყოველგვარი განმარტების გარეშე, თუ რისთვის იჭერენ, დაჭერილის ნათესავებისთვის შეტყობინების გარეშე. პრეზიდენტის ბრძანებით ნებისმიერი ამერიკელი შეიძლება დაიჭირონ ქუჩაში, გამოამწყვდიონ ციხეში გაურკვეველი დროით, თუნდაც სიცოცხლის ბოლომდე და უარი უთხრან მას თუნდაც ტელეფონზე ელაპარაკოს ვექილს. როდესაც ასეთ ფაქტებს აქვს ადგილი აშშ-ში, ძნელია სააკაშვილის გამტყუნება.

ორიოდ სიტყვა „თავისუფალი“ ამერიკული ჟურნალისტიკის შესახებ. თუ რამდენად თავისუფალია, კარგად აღნიშნა ტელეკომპანია სიენ-ენ-ის პოპულარულმა ჟურნალისტმა კრისტიან ამანპურმა: „ვგონებ, ჩვენს პრესას მოაკეტინეს, ტელევიზია, სადაც ვმუშაობ, საბოლოოდ დაშინებულია ადმინისტრაციის მხრიდან. გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი ტომ კრუგმანი წერს: „ძნელია არ შეაფასო დაშინების პოლიტიკა, თუ თქვენ 11 სექტემბრის შემდეგ ნეგატიურად მოიხსენიებდით პრეზიდენტს, აუცილებლად უნდა გეფიქრათ, რომ მემარჯვენე კონსერვატიული ექსპერტები და სხვადასხვა გამომცემლობები თავს დაგესხმეოდნენ თქვენი რეპუტაციის გასაცამტვერებლად“.

**და ბოლოს: „სინამდვილეში მე არ მახსენდება არც ერთი ადმინისტრაცია, რომელიც ასე მიზანმიმართულად და სისტემატურად აყალბებდეს სინამდვილეს. მისთვის ტყუილი ჩვეულებრივი რამ არის ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში“ — წერს ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერტ გორი.**

აშშ-ი დემოკრატიული სახელმწიფოა, ცხადია სხვებთან შედარებით, მაგრამ ის შორს არის იმ დემოკრატიისგან, რასაც ქადაგებს. დემოკრატი სახელმწიფოს მეორე პირმა ქარაგმებით არ უნდა ილაპარაკოს აღსაზრდელთან, თუკი მას სურს მისი ნამდვილად დემოკრატიულად აღზრდა, არამედ პირიქით, ისე, როგორც შეეფერება ჭეშმარიტ დამრიგებელს. მან წარმატებაც უნდა აღნიშნოს და შეცდომებიც. მსგავსი მიდგომის შემთხვევაში ველარც სააკაშვილი იცელქებდა, აღარც გასული წლის ომს ექნებოდა ადგილი და აღარც ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის 20-პროცენტი დაიკარგებოდა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

ყურადსაღებია!

# სწავლა ოქტომბრიდან დავიწყოთ!

## ღია წერილი საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ ნიკა გვარამიას

**დიდად პატივცემულო ბატონო მინისტრო. უკვე მერამდენე წელიწადია ვერა და ვერ დადგინდა სასწავლო წლის დაწყების თარიღი საქართველოში, არადა, საქმისთვის ეს აუცილებელია. ადრე ჩვენთან, როგორც რუსეთში, სასწავლო წელი იწყებოდა 1 სექტემბერს. რუსეთისთვის ამას თავისებური გამართლება ჰქონდა, ჩვენთვის კი არა. ამ დროს რუსეთში მეურნეს დაბინავებული აქვს სარჩო-საბადებელი და გამოსაზამთრებლად მზად არის. ჩვენში კი რთველი ძირითადად სექტემბრის თვეში იწყება. ამ დროს დასასვენებლადაც მთაც კარგია და ზღვაც. კლიმატი ყველგან ზომიერი, რბილი და ხავერდოვანია. ფაქტობრივად, სექტემბერი ყოველნაირად შემკული თვეა. ამიტომ კარგი იქნება თუ ჩვენში სწავლის დაწყება 1 ოქტომბრიდან დაკანონდება. ეს მხოლოდ სამინისტროს პრეროგატივაა.**

**ბატონო მინისტრო, მერწმუნეთ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ბევრ სიკეთეს მოიტანს.**

**დურმიშხან ცინცაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

***P. S.* საბჭოთა კავშირის დროს სტუდენტები და მოსწავლეები სექტემბრის თვეში კი არ სწავლობდნენ, არამედ ვენახის ზვრებში და ჩაის პლანტაციებში შრომობდნენ. მაშასადამე, მაშინაც კი სექტემბრის თვე სასწავლო თვედ არ ითვლებოდა.**

***დ. ც.***

SIC!

*რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარების და მათ შორის გაფორმებული სხვადასხვა ორმხრივი ხელშეკრულებების შემდეგ აფხაზეთში შიდაპოლიტიკური ვითარება მკვეთრად დაიძაბა. აფხაზეთში არსებული ე.წ. ოპოზიციური ძალები არსებულ რეჟიმს ანტისახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებაში ადანაშაულებენ, რაც უფრო წინასაარჩევნო კამპანიას წააგავს, ვიდრე იმის მცდელობას, რომ აფხაზეთი რეალურად იყოს დამოუკიდებელი და თავი დააღწიოს რუსეთის კაბალას. აფხაზეთში შექმნილ ვითარებასა და მოსალოდნელ მოვლენებზე კომენტარი ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტმა ლევან კიკნაძემ გააკეთა.*

# ლევან კიკნაძე: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხაჯიმბა ფსბ-ს გენერალია

**— ბატონო ლევან, ბოლო პერიოდში აფხაზურ ოპოზიციურ მედიაში, ტელესივრცეში, გაზეთებში ძალიან ხშირად ბაღაფშის მწვავე კრიტიკა ისმის. როგორ ფიქრობთ, სადამდე შეიძლება მივიდეს დაპირისპირება აფხაზეთში შიდა პოლიტიკურ ძალებს შორის?**

— როგორც ვიცით აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს დეკემბერში დაგეგმილი აქვს ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. ახლა ჩვენ საქმე გვაქვს ამ წინასაარჩევნო კამპანიის საწყის ეტაპთან. ამიტომ ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარიმართება დარჩენილი დრო. დღეისთვის ბაღაფშის კლანური კორუფციული რეჟიმი სახეზეა. ხაჯიმბამ მშვენივრად იცის, თუ რისი გაგონება სურს აფხაზეთის ელექტორატს, რა და როგორი კუთხით უნდა მიაწოდოს მას. მით უმეტეს, მასალები იმდენი აქვს, რომ განსაკუთრებული ამორჩევაც არ დასჭირდება. ამას ამ ბოლო პერიოდში დაემატა რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელმაც კაბალურ მდგომარეობაში ჩააყენა თვით აფხაზეთის მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, ეს წინასაარჩევნო კამპანია ხაჯიმბამ ზედმიწევნით კარგადააწყო იმის გათვალისწინებით, თუ რა ტკივა და რისი მოსმენა უნდა მოსახლეობას. ამასთან ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხაჯიმბა ფსბ-ს გენერალია და თავის პატრონებთან შეუთანხმებლად არაფერს გააკეთებს. ამიტომ წარმოსახვა იმისა, რომ თითქოს ხაჯიმბა ოპოზიციაში ჩაუდგება ჯერ ბაღაფშს და შემდეგ რუსეთს, და იმას, რაზეც საუბრობს, ცხოვრებაში გაატარებს - მცდარი წარმოდგენაა.



**— ანუ, რეალურად ის იყენებს საზოგადოებრივ განწყობას, რომ რუსეთის კრიტიკა აფხაზეთში ახლა მოდაშია, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლისას თავადაც იქნება რუსეთის ისეთივე წარმომადგენელი, როგორიც იყო მანამდე?**

— რა თქმა უნდა, ასეც იქნება. თუ გავიხსენებთ, ბაღაფშის წინასაარჩევნო დაპირებებს, ის საუბრობდა გასხვისებულ დასასვენებელ ობიექტებზე, კორუფციაზე, ნარკოტიკების უკონტროლო შემოდინებაზე აფხაზეთში, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. იგივე იქნება ხაჯიმბასთან მიმართებაში.

**— საზოგადოებაში, თვით ხალხში თუ იგრძნობა უკმაყოფილება რუსეთის პოლიტიკის მიმართ. ვგულისხმობ ხაჯიმბას გამოსვლას, სადაც მან დასვა შეკითხვა — ჩვენ რა, არ გვყავს ისეთი ადამიანები, ვინც გააკონტროლებდა რკინიგზას? — ამას მოყვა ტაში დარბაზში...**

— დაგეთანხმებით. ეს განწყობა თანდათან იზრდება. ხალხი ხედავს და ხვდება, თუ რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ის დროთა განმავლობაში. ის, რაზეც პოლიტიკოსები საუბრობენ, ხალხისთვისაც ნათელია. ის დოტაცია, რომელიც შემოდის რუსეთიდან, შეიძლება შეჩერდეს და ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. უფრო სწორად, აფხაზეთის ეკონომიკა ისე მიებმება რუსეთის ეკონომიკას, რომ საკუთარი აღარაფერი დარჩებათ. თქვენ ახსენეთ რკინიგზა. ხაჯიმბამ თავის გამოსვლაში შედარებებიც კი მოიყვანა. კერძოდ თუ რა პირობებით გადასცა რკინიგზა მართვაში სომხეთმა რუსეთს და რა პირობებზე დათანხმდა ბაღაფში... ბაღაფშის მიმართ კრიტიკა დაკავშირებულია წინასაარჩევნო პერიოდთან, რაც ხაჯიმბას აწყობს. შემდგომში, როცა იგივე ხაჯიმბას ხელშეწყობით რუსები მომძლავრდებიან და დაფუძნდებიან აფხაზეთში, ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზრდება.

**— წინა ე. წ. არჩევნების დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა გალის რაიონის ქართულმა მოსახლეობამ. ბაღაფშს მაშინ გამარჯვება ამან მოუტანა. შეიცვლება თუ არა ამ არჩევნებზე გალის რაინის მოსახლეობის დამოკიდებულება და შეძლებს თუ არა ხაჯიმბა მოახდინოს რაიმე ზეგავლენა მათზე მხარდაჭერის მისაღებად?**

— გალის ელექტორატი, რა თქმა უნდა, ბაღაფშს დაუჭერს ხმას. თვითონ ხაჯიმბა დარწმუნებულია, რომ ვერანაირ გავლენას ამ რაიონის ელექტორატზე ვერ მოახდენს. სწორედ ამიტომ ითხოვს ხაჯიმბა ასე დაჟინებით ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობა მხოლოდ აფხაზური პასპორტების მქონე ადამიანებმა მიიღონ. რადგან გალის რაიონში აფხაზური პასპორტები უმეტესობას არ გააჩნია, ამით ეძლევა საშუალება ეს რაიონი მოწყვიტოს საარჩევნო პროცესს. ამიტომ ეწინააღმდეგებიან ოპოზიციური ძალები ბაღაფშის იმ გადაწყვეტილებას, რომ აფხაზეთის მაცხოვრებლებს ხმის მიცემა ასევე „ფორმა 9“-ით შეეძლოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტები გააჩნია. კერძოდ, ხაჯიმბას მტკიცებით, „ფორმა 9“ ბაღაფშს ხმების მანიპულირების საშუალებას მისცემს, ხოლო ბაღაფშის მტკიცებით, თუ გალის მოსახლეობას არ მისცემენ არჩევნებში „ფორმა 9“-ით მონაწილეობის უფლებას, ამით მათი კონსტიტუციური უფლებები დაირღვევა და მოსახლეობას უბრალოდ ძალადობით წაართმევენ საარჩევნო ყუთთან საკუთარი ნების გამოხატვის უფლებას.

ეკონომიკური კალეიდოსკოპი

# კოლაფსი

(მეხუთე გვერდიდან)

ბანკის მონაცემებით, 2008 წლის 31 დეკემბერს 1 ევრო 41,44 რუბლი ღირდა, 1 დოლარი კი — 29,38 რუბლი. 2009 წლის 30 იანვრისთვის, ე.ი. ერთი თვის განმავლობაში 1 ევრო 45 რუბლი გახდა, 1 დოლარი კი — 35 რუბლი. გამოდის, რომ რუბლის კურსი გასული ერთი თვის განმავლობაში ევროს მიმართ 8,6 პროცენტით, ხოლო დოლარის მიმართ — 19,1 პროცენტით დაეცა. **საერთაშორისო ექსპერტები უკვე იმის წინასწარმეტყველებას ცდილობდნენ, თუ კონკრეტულად როდის მიაღწევდა რუბლი გაუფასურების ბოლო ზღვარს.**

აშშ-ს უდიდესი ბანკი „მერილ ლინჩი“ რუსეთის ცენტრალურ ბანკს ურჩევდა, რუბლის „გამაგრება“ მაშინ შეეწყვიტა, როდესაც ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 300 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდებოდა. ეს რეზერვები კი 2009 წლის იანვრის დასაწყისისთვის 426,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ასე რომ, მოსაფიქრებლად რუსეთის ბანკს კიდევ რჩებოდაცოტა დრო და... 126,5 მილიარდი დოლარი. მართალია, რუსეთის ცენტრალურ ბანკს ფული ჯერ კიდევ ჰქონდა, მაგრამ იგი თავის სალაროდან სულ უფრო-და-უფრო მეტს (თვეში საშუალოდ 40-45 მილიარდ დოლარს) ხარჯავდა რუბლის კურსის დაცემის შესაკავებლად. უცხოელი ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის ნაციონალური ვალუტის კურსის დაცემის „შემაკავებელმა“ პოლიტიკამ არ შეიძლება ექვს თვეზე მეტი გასტანოს. ასე რომ, თუ რაიმე მოულოდნელი რამ არ მოხდა, რუბლს ნახევარ წელზე მეტი სიცოცხლე არ უნდა დარჩენოდა.

**საფონდო ბაზრის დაცემის** შედეგად 2008 წლის 19 მაისიდან 7 ნოემბრამდე რუსეთის სიმდიდრე 1 ტრილიონი დოლარით ანუ 2007 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 84 პროცენტით შემცირდა. **საბირჟო ინდექსების დაცემის** გამო მდიდარი რუსები 300 მილიარდი დოლარით „გაღარიბდნენ“, ხოლო სახელმწიფო ნავთობკომპანიებმა და მომიჯნავე დარგებმა ორჯერ მეტი დაკარგეს.

რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის შეფარდებითმა დაცემამ 2008 წელს 12% პროცენტს გადაამეტა, რითაც **დიდი ეკონომიკების მქონე ქვეყნებს შორის ყველას გაუსწრო:** ევროპაში, აზიასა და ამერიკაში ეს მაჩვენებელი მინუს 3-დან 6%-დე მერყეობს. **მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით, რუსეთის ეკონომიკა „ქკნება“ და ილევა, მოსახლეობა მცირდება, ქვეყანა დრომოჭმულ კონცეფციებსაა ჩაბღაუჭებული...**



სწორედ ასეთი უსიხარულო დიაგნოზი დაუსვა რუსეთის ეკონომიკას აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმაც ამა წლის 20 ივნისს ჟალლ შტრეენ ჟოურნალ-სათვის მიცემულ ინტერვიუში, რაშიც რუსი ექსპერტები მას სავსებით ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ ილუზია რუსეთის ეკონომიკის პოტენციალისა და მდგრადობის შესახებ საბოლოოდ გაქარწყლდა.

წლეულს, პირველი ექვსი თვის განმავლობაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გამოირკვა, რომ 2010 წელს ქვეყნის საფინანსო რესურსების შემოსავალ-გასავალს შორის დეფიციტის დასაფარავად რუსეთის მთავრობა მთლიანად დახარჯავს ქვეყნის სარეზერვო ფონდს და უახლოეს სამ წელიწადში უცხოეთიდან 60 მილიარდამდე აშშ დოლარსაც ისესხებს, რაც, ცხადია, გაზრდის სახელმწიფო ვალს. ამასთან, როგორც რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს, 2010 წელს რუსეთში მოსალოდნელია ეკონომიკის ზრდის მორიგი რეცესია (შენელებაძ.

რუსეთში 2009 წელსაც განსახილველად წარდგენილი **ბიუჯეტის პირველი ვარიანტი პროფიციტული იყო, მაგრამ ფაქტობრივად დამტკიცდა დეფიციტით** — მთლიანი შიდა პროდუქტის მინუს 7,4 პროცენტით, ახლა კი წლის ბოლოსთვის 9,4 პროცენტს ელიან. 2010 წლისთვისაც სოლიდური დეფიციტია მოსალოდნელი, დაახლოებით მთლიანი შიდა პროდუქტის 7,5 პროცენტი. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2010 წელს შემოსავლებით უზრუნველყოფილი არ იქნება მთელი გასავლის მესამედი. **ბიუჯეტის დასაბალანსებლად** საჭირო 18 მილიარდი აშშ დოლარი რუსეთი უცხოეთს უნდა ესესხოს, ხოლო 25,3 მილიარდი აშშ დოლარი შიდა სახელმწიფო სესხად უნდა გააფორმოს. ამის გარდა, კიდევ 45 მილიარდი აშშ დოლარი (1,5 ტრილიონი რუბლიძ ქვეყნის **„ნაციონალური კეთილდღეობის ფონდიდან“** უნდა აიღოს, რომელიც მანამდე ხელშეუხებლად იყო შერაცხული.

**ამრიგად, 2010 წლის ბოლოსთვის ქვეყნის სარეზერვო ფონდი დაცარიელდება!** დეფიციტის შესავსებად კი, დათვისა და ქილა ერბოს არაკისა არ იყოს, კვლავ „ნაციონალერი კეთილდღეობის ფონდს“ უნდა მიადგნენ, რომელშიც 2012 წლის ბოლოსთვის მხოლოდ 940 მილიარდი რუბლი (28,2 მილიარდი აშშ დოლარიძ დარჩება, აცხადებს „წყარო“ რუსეთის ფინანსთა სამინისტროდან.

2012 წლისთვის რუსეთის მიერ აღებული უცხოეთის ვალი 60 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდება და მთლიანი შიდა პროდუქტის 15,4 პროცენტს მიაღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი თავს სავალო მარყუჟში გაჰყოფს. **აი, ასე შეიცვალა რუსეთის ბიუჯეტი, რომელსაც ახლო წარსულში ძირითადად გაზსა და ნავთობპროდუქტებზე მაღალი ფასები კვებავდა.**

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, **ბიუჯეტის გიგანტური დეფიციტი და ვალები ხელს არ უშლის, ვთქვათ, აშშ-ს იყოს მსოფლიოში ერთერთი ყველაზე საიმედო მევალე და ამასთან მაღალი საკრედიტო რეიტინგიც შეინარჩუნოს. კრედიტებით არსებობა დღეს ეთიკის საკითხი უფროა: ვალებს რომ იღებს, ამით ერთი თაობა პასუხისმგებლობას თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის მომავალ თაობას აკისრებს. თითქმის ასე მიაჩნიათ რუსეთშიც.**

მაგრამ რუსეთისა და აშშ-ს თუნდაც ამგვარი შედარება, ალბათ, უხერხულიცაა მათი მაკროეკონომიკური და სოციალური პოტენციალის ვეზერთელა რაოდენობრივი და თვისებრივი განსხვავების გამო.

## 3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანტიკრიზისული კრედიტები

**ეკონომიკური კრიზისი დღეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში მძვინვარებს, ცხადია, მეტნაკლები სიმძაფრით. „მამა-მარჩენალის“ როლი ამ დროს მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა იკისრეს. როგორც ჩანს, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ურყევობის შენარჩუნების მიზნით „მსოფლიოს მამები“ ყველა ზომებს მიმართავენ.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზადაა ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს ყველა სახელმწიფოს, ვინც მას მიმართავს (ზოგიერთის მიმართ კი თავად გამოიჩინოს ინიციატივა და დახმარების ხელი გაუწოდოსძ. ამას ადასტურებს ინტერნეტში განთავსებული იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც ამ საფინანსო ორგანიზაციიდან ფინანსურ დახმარებას ლებულობენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ანტიკრიზისული კრედიტებს ამჟამად უკვე ლებულობენ (ან გადაწყვეტილია კრედიტის გამოყოფა, ან კრედიტის გაცემის თაობაზე მხარდასაჭერი გადაწყვეტილებები მზადდებაძ: მექსიკა — 47 მილიარდი დოლარის ოდენობით, უნგრეთი — 25 მილიარდი დოლარის (მათ შორის 15,7 მილიარდი დოლარისა — სარეზერვოძ, რუმინეთი — 24 მილიარდი დოლარის, პოლონეთი — 20 მილიარდი დოლარის, თურქეთი — 19 მილიარდი დოლარის (ითხოვა 20-დან 40 მილიარდ დოლარამდეძ, უკრაინა — 16 მილიარდი დოლარის (15 წლით, წლიური 4 პროცენტით, ამათან, უკრაინის სახელმწიფო კომპანია „ნაფტოგაზი“ რუსეთის „გაზპრომის“ ვალს სსფ-ის კრედიტით გადაიხდისძ, ისლანდია (ითხოვსძ — 6 მმილიარდი დოლარის, კოლუმბია — 10 მილიარდი დოლარის, პაკისტანი (ითხოვსძ — 7,6 მილიარდი დოლარის, ერაყი — 7 მილიარდი დოლარის, ბელორუსია (გამოეყოძ — 3,52 მილიარდი დოლარის, ლატვია — 2,1 მილიარდი დოლარის, ბოსნია (ითხოვსძ — 1 მილიარდი ევროს, სომხეთი — 50 მილიარდი დოლარის, სერბია — 530 მილიარდი დოლარის.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ ანტიკრიზისულ კრედიტებს ღარიბ ქვეყნებს ნულოვანი პროცენტით აძლევს.

**მოამზადა**
**ამირან გაბისონიამ**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# რუსეთმა სამხრეთ ოსეთში ჯარების საბრძოლო მზადყოფნა გააძლიერა

**ეს ნაბიჯი გადაიდგა რუსეთის საქართველოსთან ომის პირველი წლის წინა პერიოდში, რის შედეგადაც საქართველომ დაკარგა კონტროლი სამხრეთ ოსეთზე.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრალი დასდო საქართველოს მხარეს სროლებში საზღვრის მახლობლად, განაცხადა, რომ შეიქმნა დაძაბული სიტუაცია, მაგრამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს: „საქართველოს მხრიდან არ ყოფილა არც ერთი პროვოკაცია".

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგოლი ტარასინის სიტყვებით, „დიდად სამწუხაროა, რომ ამერიკელები კვლავაც აპირებენ ჩართონ მიხეილ სააკაშვილის მანქანა", საქართველოს პრეზიდენტისა.

იზაბერ ჰორსტი.

FINANCIAL TIMES

# რუსეთი და საქართველო ისტორიაში ადგილისთვის იბრძვიან

**ერთი წლის შემდეგ ომიდან საქართველოში კვლავ გაჩაღდა დავა იმის შესახებ, თუ ვის დაეკისროს პასუხისმგებლობა კონფლიქტისათვის, რომელმაც ლამის ცივი ომის ეპოქაში დაგვაბრუნა.**

ხუთდღიანი ომის დროს დაიღუპა ასობით კაცი, დამარცხდა საქართველოს არმია, ორი საზღვრისპირა ტერიტორია კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა დარჩა როგორც „რუსეთის საოკუპაციო ტერიტორია". დასავლეთს მოუწია გადაეწყვიტა თუ როგორი რეაქცია მოეხდინა მოსკოვის განზრახვაზე, დაემყარებინა თავისი „გავლენის სფერო". მაგრამ ძირითადი საკითხები – ვინ არის დამნაშავე, რა იყო კონფლიქტის მიზეზები და იყო თუ არა გენოციდი? – რჩება უპასუხოდ.

ომის წლისთავის წინა პერიოდში დაძაბულობას რეგიონში მოწმობს რუსეთის მხარის ამასწინანდელი განცხადებაც, რომელმაც საქართველოს „პროვოკაციების" შემდეგ მიიყვანა თავისი ჯარები გაზრდილ მზადყოფნაში. თბილისი უარყოფს ბრალდებას. როგორც კრემლის პრესსამსახურმა განაცხადა, სამშაბათს პრეზიდენტმა მედვედევმა თავის ამერიკელ კოლეგასთან ერთად განიხილა „გაკვეთილები", რომლებიც შეიძლება გამოვიტანოთ სამხრეთოსეთური კონფლიქტიდან.

საერთაშორისო კომისიამ შვეიცარიის წარმომადგენლის ჰეიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით შემაჯამებელი მოხსენების პუბლიკაცია გადაიტანა 11 ივლისიდან სექტემბრის ბოლოსათვის. ტალიავინზე, ამტკიცებენ ექსპერტები და დიპლომატები, ამჟამად ახორციელებენ ძალიან ძლიერ ზეგავლენას – მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. იტყობინებიან რომ იგი გამოცდილი დიპლომატია და უმუშავნია ბოსნიაში, ჩეჩნეთსა და აფხაზეთში 2006 წლამდე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის უვე შრამის სიტყვებით, დამოუკიდებელი გამოკვლევის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნების გადატანა მოხდა იმის გამო, რომ ორივე მხარემ უკანასკნელ მომენტში წარმოადგინეს უამრავი დოკუმენტაცია, რომელიც დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ამ დროს მხარეები კვლავ იცავენ თავიანთ ვერსიებს: ხუთშაბათს თბილისში გამოქვეყნდება ორმოცგვერდიანი მოხსენება ომის მიზეზების ქართული ხედვით, შაბათს კი, სამხრეთ ოსეთში იხსნება გენოციდის მუზეუმი. გასული წლის განმავლობაში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა სამი წიგნი აგვისტოს ომის შესახებ – სამივეს უჭირავს პოზიცია, რომელიც ახლოსაა ქართულთან.

მოსკოვმა გადასცა საერთაშორისო კომისიას 2008 წლის 7 აგვისტოს ეგრეთ წოდებული „ბრძანება № 2", რომელშიც სანქცირებულია სამხრეთ ოსეთში „საქართველოს იურისდიქციის აღდგენა", თუ დოკუმენტი ნამდვილი აღმოჩნდა, მაშინ იგი უარყოფს თბილისის განცხადებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება ჯარების შეყვანის შესახებ მიღებული იქნა უკანასკნელ მომენტში რუსეთის კოლონების შეყვანის პასუხად. საქართველოს მხარემ, თავის მხრივ, გადასცა ტალიავინის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, სადაც საუბარია რუსეთის ჯარების გადაადგილების შესახებ როკის გვირაბით, რომელიც რუსეთს გამოყოფს სამხრეთ ოსეთისაგან, 8 აგვისტოს განთიადისას.

მარკ ჩემპიონი.

THE WALL STREET JOURNAL.

# რუსეთისაგან საქართველოს საუკეთესო დაცვა დემოკრატიაა

**პარასკევს არის რუსეთის ტანკების ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის წლისთავი. საქართველოს არმია მის წინაშე უძლური აღმოჩნდა. რუსეთის ჯარებმა უკან დაიხიეს მხოლოდ საერთაშორისო გაერთიანების ზემოქმედებით.**

მაგრამ რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის მთავრობა არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. წლისთავის წინ კი ორივე ქვეყანა ერთმანეთს ადანაშაულებს საზღვარზე აგრესიაში. ამერიკის შეერთებული შტატები ღრმად წუხს იმის გამო, რომ საქართველო არ არის ნატოს წევრი. რუსეთის აგრესიის პირისპირ კი მისი არმია უსათუოდ საჭიროებს ობამას ადმინისტრაციისაგან შეიარაღების თავდაცვით სისტემებს.

მაგრამ რუსეთის ჩარევა საქართველოს საქმეებში განპირობებულია ქრონიკული პოლიტიკური არასტაბილურობით ამ ქვეყანაში. მოსკოვს სურს ხელთ ეპყრათ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ბოჟები, მას საქართველო უსუსური სახელმწიფო ჰგონია, რომელიც დასავლეთის ალიანსში შევიდა.

საქართველოს დემოკრატიის განმტკიცება – თავდაცვის საშუალებაა, რასაც სააკაშვილმა უკვე ახლავე უნდა მიმართოს. საერთო-ეროვნული არჩევნები რომელიც შარშან გაიმართა, იყო დარღვევებით. 2007 წელს ხელისუფლებამ მკაცრად დაარბია ოპოზიციონერთა დემონსტრანტები. საქართველომ მიაღწია წარმატებებს კორუფციასთან ბრძოლაში, მაგრამ სასამართლოები ჯერ კიდევ ძალიან შორს არიან დამოუკიდებლობისაგან.

სააკაშვილის დიდმნიშვნელოვანი მოკავშირეები გადავიდნენ ოპოზიციონერთა რიგებში, სადაც აპრილში დაიწყო ყოველდღიური საპროტესტო აქციები. კრიტიკოსები პრეზიდენტს დიქტატორს უწოდებენ და ბრალს სდებენ მას უკანონობაში. შარშანდელი კონფლიქტის დროს რომ გამოვლინდა. ისინი მოითხოვენ, რომ სააკაშვილი წავიდეს და სურთ ვადამდელი არჩევნების მოწყობა.

მაგრამ თავად ოპოზიციაც გათიშულია, არ ყავთ არც ლიდერი, არ აქვთ არც პროგრამა. მისი პროტესტები დასუსტდა და დემონსტრანტებმა შესვენება გამოაცხადეს ზაფხულში.

20 აპრილს – ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტის წინ სააკაშვილმა გამოაცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საარჩევნო და სასამართლო სისტემების რეფორმის შესახებ. საქართველოს ლიდერი დაგვპირდა, რომ შექმნის უფრო ეფექტიან სისტემას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოების დაპირისპირების აღმოსაფხვრელად. შესაბამისი ცვლილებები კონსტიტუციაში უნდა დამუშავდეს ოპოზიციასთან ერთობლივად.

მაგრამ საქართველოს პრეზიდენტსა და მის კრიტიკოსებს უზარმაზარი უფსკრული თიშავს. როგორც ჩანს, არც ერთ, არც მეორე მხარეს არ ესმის, რომ დემოკრატია ითხოვს კომპრომისებს. როგორც ჩანს, მათ არ შეუძლიათ შეურიგდნენ იმას, რომ შეიძლება წააგონ, შემდეგ კი თუ გაიმარჯვებენ, დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.

პასუხისმგებლობა ჩიხიდან გამოსვლისათვის აკისრია ორივე მხარეს. მაგრამ სააკაშვილს განსაკუთრებით მძიმე უღელი აწევს, ვინაიდან იგი სახელმწიფოს მეთაურია.

ყველა სირთულესთან ერთად რასაც შარშან სააკაშვილი გადაეყარა, მუშაობა დემოკრატიის მშენებლობისათვის იქნება კიდევ უფრო რთული. დემოკრატიული რეფორმების მშენებლობა – მძიმე შრომაა, რომელიც უნდა იქნეს გაწეული, რათა საქართველოს „ვარდების რევოლუცია" აყვავდეს.

CHRISTIAN SCIENCE MONITOR

# სააკაშვილი მეორე პლანზე

**კავკასიაში ხუთდღიანი ომიდან ერთი წლის შემდეგ ევროპის მთავრობათა უმრავლესობა და ობამას ადმინისტრაციაც მთლიანად ეთანხმებიან იმას, რომ მომხდარისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიხეილ სააკაშვილს. მაგრამ ჯერჯერობით მას არ უწევს გადახდა „სერიოზული საფასურისა", – ასეულობით სიკვდილისა და ათასეულობით დევნილებისათვის.**

უშიშროების საკითხებზე მიუნხენის კონფერენციის შემდეგ, სადაც სააკაშვილმა მოახერხა შეხვედროდა ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს, რომელიც თავდაპირველად მას გაურბოდა, საქართველოს ლიდერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნებისმიერი მოლაპარაკების დროს „შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის საქართველო იქნება დღის წესრიგის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი". ობამას ვიზიტი გასულ თვეს მოსკოვში გვარწმუნებს, რომ საუბარი სულაც არ არის ცივი ომის განახლების შესახებ. პირიქით, თეთრი სახლი ცდილობს განავითაროს ორმხრივი ურთიერთობა. საქართველო და მისი ლიდერი მეორე პლანზე არიან.

უფრო მეტიც, ბაიდენის ამასწინანდელი ვიზიტი თბილისში მიზნად ისახავდა ეჩვენებინა, რომ „საქართველო სულაც არ დაუვიწყნიათ". თუმცა კი განაცხადა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს არავითარი დაპირება არ მიუცია სამხედრო დახმარების და მით უმეტეს გადაიარაღების შესახებ. მის მიერ გაკეთებული განცხადებები შეიძლება ავხსნათ როგორც ვაშინგტონის სურვილი უფრო საიმედოდ აკონტროლოს სააკაშვილი, რათა ამ უკანასკნელმა არ გაიმეოროს თავისი შარშანდელი უგუნურობა.

სიტუაცია კვლავ ჩიხში მოექცა და კონფლიქტი ხელახლა „გაიყინა". რუსეთმა მიაღწია რაც სურდა, გარდა სააკაშვილის გადადგომისა. ძნელად რომ სავარაუდო იყოს საბრძოლო მოქმედებათა განახლება – არც ერთ მხარეს ამისათვის არ გააჩნია სათანადო მიზეზები.

ჯონატან სტილი.

Guardian

## დედამიწის ზურგზე



**ლიბანის „ხესბოლახმა" ისრაელთან ბრძოლისათვის დაამზადა 40 ათასი რაკეტა**

შიიტური დაჯგუფება უკვე ებრძოდა ისრაელს 2006 წელს, მაგრამ ამჟამად იგი გაცილებით უკეთაა მომზადებული. ბოევიკები მომზადებას გადიან ირანში, მათ აქვთ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალი სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ მიფრინდნენ თელ-ავივამდე.

* * *

**იაპონიის მახლობლად მოხდა ძლიერი მიწისძვრა**

მისი მაგნიტუდა შეადგენდა 6,5 ბალს, ეპიცენტრი იყო წყნარ ოკეანეში 30 კილომეტრის სიღრმეზე. ცუნამის წარმოქმნის საშიშროება არ არის. მონაცემები მსხვერპლისა და ნგრევების შესახებ არ შემოსულა.

* * *

**პენტაგონი თვალყურს ადევნებს რუსეთის ორ წყალქვეშა ნავს, რომლებიც გადაადგილდებიან აშშ-ს ატლანტიკის სანაპიროზე**

რუსეთის საზღვაო ფლოტის ასეთი აქტიურობა ამერიკის სანაპიროებზე არ შემჩნეულა ცივი ომის დასასრულის შემდეგ. მიუხედავად ამისა, პენტაგონი არ განიცდის ძალიან დიდ შეშფოთებას, ვინაიდან წყალქვეშა გემები საერთაშორისო წყლებში იმყოფებიან.



* * *

**ბოლივიას განზრახული აქვს აიღოს რუსეთისაგან კრედიტი პრეზიდენტის თვითმფრინავისა და შეიარაღების შესაძენად**

სამხრეთამერიკულ სახელმწიფოს სურს შეიძინოს „ანტონოვის" მარკის თვითმფრინავი თანამედროვე მოწყობილობით და თათბირების დარბაზით. ასეთი „ბორტი № 1" ღირს დაახლოებით 30 მილიონი დოლარი. კრედიტის კიდევ 70 მილიონი, ბოლივიას განზრახული აქვს იყიდოს შვეულმფრენები, სატვირთო ავტომანქანები და გემები.



* * *

**ბრაზილიაში ღორის გრიპისაგან 129 კაცი დაიღუპა**

ერთ დღეს ოფიციალურად გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ დაიღუპა 37 კაცი. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცნობით, უკანასკნელ დღეებში სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანები ავადდებიან ამ გრიპით. „ამ გრიპმა გაარღვია ზღუდეები და შეერია სეზონურ გრიპს, რომელსაც ამჟამად, მხატვრულად რომ ვთქვათ, ეჯიბრება".



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

**Swiss Cooperation Office for the South Caucasus**
Georgia, Embassy of Switzerland

Humanitarian Aid

# ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - SDC, რომელიც წარმოადგენს შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილს აცხადებს ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ სამშენებლო კომპანიას, წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები.

**პრეამბულა**

საქართველოში სოციალურად დაუცველი ფენისაკენ მიმართული (მიმდინარე) სოციალური რეფორმების თანახმად, ასევე „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“, მისი სამოქმედო გეგმის და მთავრობის პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად,

SDC გაერო-ს ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას ამჟამად კოლექტიურ ცენტრებში და/ან არაადეკვატურ კერძო საცხოვრებლებში მცხოვრები სოციალურად ყველაზე დაუცველი და იზოლირებული იძულებით გადაადგილებული პირების, რომელთაც საბინაო პრობლემები აქვთ და ასევე სოციალურად დაუცველი, სოციალურად იზოლირებული და უსახლკარო ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით მდგრადი და ხანგრძლივი გზით უზრუნველყოფაში და ახორციელებს პილოტურ პროექტს „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“.

**შესყიდვის ობიექტები**

**თბილისი** ერთი სამსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 12 ბინა) მშენებლობა მისამართზე, ვარკეთილი III, 2 მიკრორაიონი (საერთო მოცულობით დაახლოებით 2075.35მ³).

**ბათუმი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მშენებლობა მელიქიშვილისა და ოსტროვსკის ქუჩების გადაკვეთაზე (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³).

**ქუთაისი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) ზ. ჭავჭავაძის ქუჩა № 24 სკოლის დასავლეთით, ნაკვეთი №11-12 (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³).

**ზუგდიდი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მისამართზე ჩაის ფილიალი (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³) მე 10-ე სკოლის მახლობლად.

**გორი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მოსკოვის ქუჩა გორის ყოფილი ბამბეულის მიმდებარე ტერიტორია (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³).

**სატენდერო მოსაკრებელი**

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 300 ლარი.

გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის სახით შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - SDC

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 204933457

მიმღების ანგარიში: 1609906

მიმღების ბანკი: „თი-ბი-სი“ ბანკის ცენტრალური ფილიალი

საბანკო კოდი: 220101830

დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი 7F-05031.03

**ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

(წარმოდგენილი უნდა იქნეს შევსებულ სატენდერო განაცხადთან ერთად)

- ზოგადი ინფორმაცია (კომპანიის საკვალიფიკაციო მონაცემები)
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ფინანსური ბრუნვის შესახებ
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ
- ცნობა კომპანიის რეგისტრაციის შესახებ
- ცნობა სასამართლოდან, რომ კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება და/ან მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
- საგადასახადო ინსპექციაში კომპანიის რეგისტრაციის მოწმობა
- ცნობა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში არსებობის ან იჯარაში აღების, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დადასტურებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ

**ვადები**

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია SDC-ის ოფისში მისამართზე: რადიანის ქ. 9 (ვაკეში), თბილისი 0179, საქართველო, 2009 წლის 14 აგვისტოს 17:00 სთ-მდე.

შევსებული სატენდერო განაცხადი დახურულ კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნეს SDC-ის ოფისში მისამართზე: რადიანის ქ. 9, თბილისი 0179, საქართველო, 2009 წლის 21 აგვისტოს 17:00 სთ-მდე.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ეკა ჩიგოგიძეს ან ლელა მამრიკიშვილს, ტელ: (+995 32) 22 37 21 / 25 36 82/3.**

## პერიოდიკა

**ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე) კვლავ აგრძელებს ჩვეული რიტმით ცხოვრებას, აცოცხლებს და ამრავალფეროვნებს თანამედროვე კულტურულ კონტექსტს. ამჯერად, №6 და №7 ნომრების მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებთ.**

მეექვსე ნომერი იხსნება **ემზარ კვიტაიშვილის** მრავალმნიშვნელოვანი სათაურის წერილით **„წყალს მიაქვს საქართველო“**. ავტორი გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების უცნობ დეტალებს აანალიზებს.

**ზაალ სამადაშვილი** ესეიში **„ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე“** საუბრობს წიგნების მიმართ გაჩენილ გულგრილობაზე.

თანამედროვე პროზა **უჩა ზაქაშვილის** უცნაური სახელწოდების მოთხრობით **„აბიანური“** არის წარმოდგენილი. მწერალი ერთი უბრალო ოჯახის ფონზე ხატავს სიყვარულსა და სიძულვილს, შიშსა და თავგანწირვას, ყველა იმ ვნებას, რომლებიც ცხოვრებას აზრს ანიჭებენ.

ამავე ნომერში წაიკითხავთ **ნინო ჩხიკვიშვილის** წერილს **„ნონა კუპრეიშვილი ახალ ამპლუაში“**, **გურამ ბარნოვის „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“**, **ივანე ამირხანაშვილის** გამოხმაურებას ლია რუსიაშვილის საბავშვო წიგნზე **„სალი კოლხელი — ახალი გმირი“**. **გუბაზ მეგრელიძის „ნუ ცდილობთ ისტორიის გაყალბებას“**, სტეფანო ბენის ნოველებს (იტალიურიდან თარგმნეს **ზაალ ქვუასელმა** და **მაია მაძღარაშვილმა**ძ.

„ჩვენი მწერლობის“ მეშვიდე ნომერში **თეიმურაზ დოიაშვილი** ახალ იდეას სთავაზობს ლიტერატურულ საზოგადოებას: შეიქმნას ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრი. ვფიქრობთ, ამ შესანიშნავ იდეას მალე შეესხმება ხორცი.

**„აფხაზეთი ქართულ პოეზიასა და პროზაში“** — ასეთი სახელწოდებით დაიბეჭდა ორწიგნეული, რომლის რედაქტორია პოეტი **გენო კალანდია.** მასთან ინტერვიუში საუბარია იმის შესახებ, რომ მზადდება ახალი წიგნიც „საქართველო აფხაზურ პოეზიაში“. სწორედ ამგვარი წიგნებითაც უნდა აღდგეს აფხაზ და ქართველ ხალხს შორის ჩატეხილი ხიდი.

# საზრდოდ სულისა...

## „ჩვენი მწერლობის“ ახალი ნომრები




**ზაურ გერგედავას** ლექსები გამოირჩევა გამოთქმის სისადავით. **მაკა ჯოხაძე** თავის **„პირველ შთაბეჭდილებაში“** აღნიშნავს, რომ ეს ლექსები ირეალურისა და რეალურის საზღვარზე მყოფი ხილვებით სუნთქავს.

ამ ნომერში დაბეჭდილია **მეუფე თადეოზის** ლექსი „ლელა თათარაიძეს“. საგულისხმოა, რომ მეუფემ სასულიერო ცხოვრების რთული და სიკეთით სავსე გზა ყელქცეულში დაიწყო და პირველი დალოცვა ოთარ ჩხეიძისგან მიიღო.

**„თუ ჩემი თვალსაწიერი უფრო ფართო იყო, ვიდრე სხვებისა, მხოლოდ იმიტომ, რომ გიგანტთა მხრებს ვეყრდნობოდი“,** — უთქვამს **ისააკ ნიუტონს.** ამ გიგანტთა ნააზრევის ანალიზს წაიკითხავთ ჩვენი დროის გამოჩენილი მეცნიერისა და მთარგმნელის **ბაჩანა ბრეგვაძის** ნაშრომში **„რელიგია და მეცნიერება“,** რომელიც გაგრძელებებით იბეჭდება.

**ნიკოლოზ ჩხოტუა** ერთი იმათგანი იყო, ვინც 1921 წლის 21 თებერვალს გაექცა უცხოეთში და შემდეგ მთელი ცხოვრება ნოსტალგია სტანჯავდა. რუბრიკით **„სად წაიყვან სადაურსა“** მკითხველი გაეცნობა **პიტერ ნეისმიტის** წერილს და შეიტყობს ნიკოლოზ ჩხოტუას მრავალფეროვანი ცხოვრების ამბავს.

**როსტომ ჩხეიძე** წერილით „წერტილის დასმის ხელოვნება“ ეხმაურება გიორგი გოგოლაშვილს მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკის“ თაობაზე.

**„იქნებ კანონით აგვეკრძალა კლასიკური ლიტერატურის კითხვა... მოგეხსენებათ, აკრძალული ხილი გემრიელია და, რა იცით, ჩვენი წიგნისმოძულე ახალგაზრდობა პროტესტის ნიშნად მართლაც უფრო არ მიეტანოს ჩვენი კლასიკური ლიტერატურის კითხვას!“** ეს ირონიაგარეული „იდეა“ თვალსაჩინო მთარგმნელს **გურამ გოგიაშვილს** გაუჩნდა. მასთან დიალოგში სათაურით **„თუ მეტაფორა ენის სიზმარია, თარგმნილი ტექსტი დედნის სიზმრად უნდა აღვიქვათ“** სხვა საინტერესო თვალსაზრისებსაც წაიკითხავთ როგორც თარგმანის ხელოვნების, ასევე ჩვენი ყოფის საჭირბოროტო თემების შესახებ.

„ჩვენი მწერლობის“ სალონმა ახალგაზრდა პოეტებს უმასპინძლა, რომელთა ლექსებსაც საგულისხმო დისკუსია მოჰყვა. **გიორგი კეკელიძე, დიანა ანფიმიადი, ქეთი თუთბერიძე, ნატა ვარადა** — ლიტერატურულ სიტყვაზე ალიარებულ ავტორებად ითვლებიან.

ახალგაზრდა ავტორთა შორის გამორჩეულია **ნინო სადღობელაშვილი,** რომლის მოთხრობებსაც კარგად იცნობს ამ ჟურნალის მკითხველი. ამჯერად მას თამარ შაიშმელაშვილი საინტერესო და აქტუალურ თემებზე ესაუბრება.

თანამედროვე ქართული პროზა წარმოდგენილია ორი ავტორით. ერთი **ჯანო ჯიქიძეა,** რომლის მოთხრობა **„რუსტიკო“** ყურადღებას იქცევს თხრობის ორიგინალური მანერითა და უცნაური პერსონაჟებით. **ნიკოლოზ ჩუბინიძე** კი მოთხრობაში **„ნინია და ქეთუსია“** თინეიჯერთა ცხოვრებას, მათ არატრადიციულ ვნებებსა და გატაცებებს წარმოაჩენს.

**მურლვა არდოტელი** ხევსურეთში, სოფელ არდოტში ცხოვრობს. ამ გაუკაცრიელებულ სოფელში ბავშვები მხოლოდ მის ოჯახში არიან. გაუსაძლის ყოფით პირობებში ცხოვრობს პოეტი და მშვენიერ ლექსებს წერს.

**„ერთი წვეთი კუპრი“** — ასეა დასათაურებული **როსტომ ჩხეიძის** მწვავე გამოხმაურება კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებაზე „მწერალთა სახლის“ ახლებური მოწყობის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი მწერალთა კლუბების შექმნას. საამწერლო ცხოვრების დასავლური მოდელი კვლავაც საოცნებო დარჩა.

ქუთაისელმა მწერალმა **ელგუჯა თავბერიძემ** რომანი დაწერა თაღლით სოლომონ აშორდიაზე, სახელწოდებით „აირევი ივერია“. ამ რომანის ქუთაისური განხილვის რეპორტაჟს გადმოგვცემს დარინა ყურუა.

ამ ნომერში ყურადღებას იქცევს ინგლისური ენიდან **მანანა გიგინეიშვილის** შესანიშნავად ნათარგმნი, **ტომას ელიოტის** „კლდე“.

**ვარლამ შალამოვს თამაზ ნატროშვილის** თარგმანებით უკვე კარგად იცნობს მკითხველი. ამჯერად დაბეჭდილია მისი ნოველები „დომინო“, „ექიმ კუზმენკოს ჭადრაკი“, „ციკუტა“, „სხვისი პური“.

ამავე ნომერში წაიკითხავთ, აგრეთვე, **იოსებ ჭუმბურიძის** პოლემიკურ სტატიას **„ცოტა რამ გაგარინზე და უფრო მეტი მეგრელიძეზე“, კატო ჯავახიშვილის** ლექსს და სხვა ნაირნაირ თაშესაქცევ ამბავს მოზაიკის რუბრიკით.

**მაია ჯალიაშვილი**

ევროპის ლიგა

# ქართველები „მარაკანაზე“





**ბელგრადში 50 ათას ფანატს დაგახვედრებთო – დაჰპირდა თბილისის დინამოელებს „ცრვენა ზვეზდას“ თავკაცი ვლადიმერ პეტროვიჩი.** ევროპის ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი სერბეთის დედაქალაქის „მარაკანას“ სტადიონზე დღეს 22 საათსა და 45 წუთზე დაიწყება, საქართველოს თასის მფლობელი კი, შეგახსენებთ, რომ უმძაფრეს ბრძოლაში ერთი კვირის წინათ შექმნილი ორბურთიანი მარაგით ჩაებმება – 2:0 (მერებაშვილი, ხმალაძე).

სამწუხაროა, რომ პარტნიორთა კონტრშეტევებს ამჯერად ვერ გაუძღვება გუნდის კაპიტანი გიორგი მერებაშვილი, რომელმაც ბალკანელებთან დიდუბეში გამართულ შეხვედრაში მეორე გაფრთხილება მიიღო და ჰოლანდიელ მსაჯს დისკვალიფიკაცია დასტყუა.



რაც შეეხება მასპინძლებს, ისინი სარევანშოდ სრული შემადგენლობით და დიდი მონდომებით ემზადებიან, მაგრამ ვიმედოვნებთ, საფინალო სასტვენის შემდეგ გაწბილებულებს მოუწევთ სარბიელის დატოვება.

ფეხბურთი

# დვალიგოლი



**მართალია, ქართულ ფეხბურთში უკვე კარგა ხანია უკუნია ჩამოწოლილი, მაგრამ მისი ცალკეული ღირსეული წარმომადგენლები მაინც ახერხებენ საკუთარი ტალანტის წარმოჩენას. სამწუხაროდ, ეს უმეტესწილად უცხოური კლუბების მაისურებით მოთამაშე ჩვენს თანამემამულეებს ეხება, თუმცა მამლუქობა ხომ ამერ-იმერელთა ძველი ხვედრია. ჰოდა, მოდით, ვიდრე უკეთეს დროს მოვესწრებით, ჩვენებურ ლეგიონერთა საქმენი საგმირონით ვიხაროთ.**

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა ხაიფას „მაკაბიმ“, რომლის მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც გიორგი დარასელიაა, ყაზახეთში ფრედ – 0:0 დაასრულა „აქტობესთან“. საოცარია, მაგრამ ფაქტია – ისრაელში გამართული საპასუხო მატჩის მე-15 წუთისთვის სტუმრები სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ 3:0. კრიტიკულ ვითარებაში აღთქმული მიწის წარმომადგენლებს მხსნელად ლადო დვალიშვილი მოევლინათ, რომელმაც ჯერ ორი საგოლე გადაცემით მოამარაგა კატანი და გოლსა, ხოლო შესვენების შემდეგ „დუბლი“ შეასრულა და ლომის წილი დაიდო პარტნიორთა გამარჯვებაში – 4:3. სხვათა შორის, ბელგიელმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო ლადოს მიერ გატანილი კიდევ ერთი ბურთი არ ჩათვალა.

**გაუწყებთ სამშაბათის რაუნდის სხვა ბრძოლების შედეგებსაც:** „პანათინაიკოსი“ – „სპარტა“ 3:0 (1:3ძ, „ტვენტე“ – „სპორტინგი“ 1:1 (0:0ძ, „სივასფორი“ – „ანდერლეხტი“ 3:1 (0:5ძ, „დინამო“ (ზაგრებიძ – „ზალცბურგი“ 1:2 (1:1ძ.

**ევროპის ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი.** „ომონია“ – „ვასლუი“ 1:1 (პირველი მატჩი – 0:2ძ.

კალათბურთი

# ძალა ერთობაშია

**როგორც იქნა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ყველა ლეგიონერი შეუერთდა – ავსტრიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ იგორ კოკოშკოვის შეგირდებს უკანასკნელნი ზაზა ფაჩულია, ტაირონ ელისი და სამშობლოში სავიზო პრობლემების გამო შეყოვნებული ნიკოლოზ ცქიტიშვილი დაემატნენ.**

რაც შეეხება მანუჩარ მარკოიშვილს, გამიზეზებული მუხლის ძველი ტრავმის გამო იგი ჯერჯერობით მსუბუქი დატვირთვით ვარჯიშობს, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ყოფნა-არყოფნის მატჩებში თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე თამაშს ისიც შეძლებს.

**ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში მოასპარეზე „ჯვაროსანთა“ დარჩენილი შეხვედრების კალენდარი ასეთია:**

**15 აგვისტო.** საქართველო – ლუქსემბურგი.

**19 აგვისტო.** საქართველო – ირლანდია.

**22 აგვისტო.** საქართველო – სლოვაკეთი.

**26 აგვისტო.** საქართველო – შვედეთი.



შეგახსენებთ, რომ ოთხივე ბრძოლის მოგების შემთხვევაში ჩვენი თანამემამულენი „ა“ დივიზიონში აღზევების შანსს შეინარჩუნებენ.

ჭიდაობა

# ჯერჯერობით სალბუნად – თურმანიძის „ბრინჯაო“

**თურქეთში დაიწყო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც ქართველი ფალავნებიც მონაწილეობენ.** 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე არჩილ თურმანიძე გა-



ვიდა. პირველ წრეში მან უზბეკ ბაროომ მურადოვს სძლია, მეორე შეხვედრა კი აზერბაიჯანელ ჰასან ალიევთან დათმო, სწორედ იმ მეტოქესთან, რომელთანაც თბილისში წლეულს ევროპის პირველობის ფინალი წააგო. დამამშვიდებელ ჯგუფში თურმანიძემ იოლად დაამარცხა ეგვიპტელი ალი რეზა მოჰამედი, ირანელი აბოოზა ნოორზადენი და „ბრინჯაოც“ დაიმსახურა.

საქართველოს ჩემპიონმა ზურაბ მაჭარაშვილმა (50ძ პირველივე შეხვედრა წააგო აზერბაიჯანელ ხურშუდ ბაბაევთან და შეჯიბრება დაემშვიდობა. ისევე, როგორც გოგა აფრიამაშვილი (74ძ. ეს უკანასკნელი გზიდან თურქმა საბაჰ კარატამ ჩამოიშორა.

წლეულს თბილისში გამართულ ევროპის პირველობაზე კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო ვლადიმერ ქარჩავამ (96ძ. მისგან ანკარაშიც წარმატებას ველოდით. ტურნირიც კარგად დაიწყო – ჯერ ბერძენ ლაოკრატის კესიდისს მოუგო, მერე რუმინელი ალინ ალექსუსი დაამარცხა დამატებით დროში. მესამე წრეში რუსეთელ ისლამ მაგომედოვთან ვერაფერი გააწყო, ვერც დამამშვიდებელ ჯგუფში ჩაერთო, რადგან მაგომედოვმა მომდევნო ორთაბრძოლა ორ სეტში წააგო კუბელ ლუჩო კაბრერო იასმანისთან.

დანარჩენ ოთხ წონით კატეგორიაში ქემალ ხარაბაძემ (55ძ, პაატა ბაკურიძემ (66ძ, არსენ კახაბრიშვილმა (84ძ და სერგო გოგისვანიძემ (მძიმე წონაძ შეხვედრები გუშინ გვიან ღამით დაამთავრეს.

**გიორგი გაგუა**

ჩოგბურთი

# მთავარ ბადეში – ხუთი ქართველი

**ასტანაში (ყაზახეთიძ გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი 50 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. უკვე გაუწყეთ, რომ ძირითად ბადეში თავიდანვე მოხვდნენ ოქსანა კალაშნიკოვა და სოფიო შაფათავა.** ხოლო ეკა გორგოძემ და თათია მიქაძემ იქ თამაშის უფლება საკვალიფიკაციო ტურნირის მო-



გებით მოიპოვეს. გადამწყვეტ პაექრობაში გორგოძემ რუსი იანა კოროლიოვა დაამარცხა – 6:2, 6:0, მიქაძემაც ჩრდილოელი მეზობელი ქსენია მოსკალი დაჯაბნა – 6:1, 6:3. მთავარი პრიზისთვის იბრძოლებს სოჭელი ნანული ფიფიაც, რომელიც კარგა ხანია ესპანეთში ხუან კარლოს ფერეროს საჩოგბურთო აკადემიაში ვარჯიშობს.

კადრი



ინტერნეტიდან

# ფეხბურთელებისგან დაიღალა...

**მისი თაყვანისმცემლების სია ძალზე დიდია, თუმცა მასში ფეხბურთელები სჭარბობენ – კრისტიან ვიერი, დიდიე დროგბა, მანუელე ბლაზი, რეჯინალდო, მათ დაამატეთ კალათბურთელი მარკო იარიჩი, მოტომრბოლი ვალენტინო როსი და ა. შ. და ა. შ.** ასეთია არასრული სია სარდინიელი ლამაზმანის ელისაბედ კანალისის ყოფილი თაყვანისმცემლებისა თუ შეყვარებულების. მას უფრო მოსაწყენი პროფესიების ადამიანებიც ეტრფოდნენ – რეჟისორი გაბრიელე მუჩინო და ბიზნესმენი ნიკოლო მიპარდი. თუმცა მათ ელისაბედი სწრაფად და დიდი ფიქრის გარეშე იშორებდა.

22 ივლისს ლამაზმანმა რომში ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯორჯ კლუნი გაიცნო. როგორც პრესა იტყობინება, ისინი იტალიის დედაქალაქის ცენტრში ძმების მალენოტების რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ წყვილი ცალ-ცალკე აღარ უნახავთ.

შაბათ-კვირა მათ კომოს ტბის სანაპიროზე, სასტუმროში გაატარეს. როგორც ამბობენ, ჯორჯი მალე რომში უნდა დაბრუნდეს, სადაც სამუშაო ელოდება. ელისაბედმა კი, ფეხბურთელები რომ მობეზრდა, ალბათ, ახალ თაყვანისმცემლებზე უნდა ინადიროს.



**მცირე პროზა**

## ანზორ გვარამია

### დედა

**ამას წინათ სანაგვე ურნაში ჩვილი იპოვეს**

**იტალიურ ეზოში ცხოვრობდა, პატრონის სახლის კიბის ქვეშ ლეიბი და საბანიც დაეგოთ მისთვის. ეზოდან გასული არავის უნახავს. ძაღლებს არც ეკარებოდა, არც მასავით ძუკნებს და აღარც მამლებს. ამიტომაც უშვილძიროდ დგამდა ფეხს სიბერეში. ეზოს მაცხოვრებლები დღემუდამ ეფერებოდნენ, პატრონი ხომ გადაყოლილი იყო მასზე — რასაც თავად მიირთმევდა სადილ-ვახშმად, იმითვე კვებავდა ძუკნას. დაყეფებული არც უნახავთ, ხუმრობით იტყოდნენ ხოლმე ეზოს მაცხოვრებლები, ძაღლია თუ კამეჩიო?!.**

ეზოს მაცხოვრებელთ კინაღამ არ გადმოუცვივდათ თვალები, როცა ძუკნა მუცელგამობერილი დაინახეს. სულ მალე პაწია ლეკვი მოავლინა ქვეყანას. უკვირდათ — უმამროდ როგორ ჩაესახაო ლეკვი. როგორც ჩანდა, ეთვალთმაქცა და გაპარულიყო, გულის სწორიც გაეჩინა... აშკარად ჩანდა, გაენავარდებინა და ეწანწალა არაოფიციალურად.

კვირა არ გასულა, მთელს უბანში ცნობილი ლოთი შემოლაყუნდა ეზოში. გავიგე, აქ ლეკვი გყოლიათო, ასე თქვა. ლოთი ლეკვებს ყიდულობდა, ზრდიდა და მერე ყიდდა ხოლმე. ლოთი იმ დღეს კიბისკენ წალასლასდა, ლეკვსა და დედამისს გადახედა. მერე იკითხა, რას აფასებთ ამ ლეკვსო. ეს თქმა იყო და ძუკნა ლეკვს გადაეფარა, მერე ვაგლახად შეხედა ლოთს. მერე გამოქანდა და კოჭებში ეცა.

### მეამბოხე

**ასე იცნობდნენ ყველგან, ასეც ეძახდნენ: სამსახურშიც და სამეზობლოშიც.**

**წუხანდელმა წყენამ არადა არ გაუარა. დილით ალიონზე წამოვარდა ლოგინიდან: მაგიდას მიუჯდა. საჩივრის წერას შეუდგა. რა ექნა! აწყენინა დირექტორმა გუშინ საღამოს, მოგხსნიო, ასე უთხრა. დირექტორის „შავ საქმეებზე“ უამრავი ფაქტი ჰქონდა შემონახული სკივრში. იატაკზე ძაღლი გაგორდა სანებივროდ და ხვანხვალი აუტყდა. ეტყობოდა, რომ ზურგი ექავებოდა.**

მეამბოხე კი თავისი საქმით იყო გართული. „მიაწვა“ და „მიაწვა“ საჩივარს დირექტორზე. დრუნჩა აწკმუტუნდა. რა გჭირსო, ჰკითხა დრუნჩას მეამბოხემ. დრუნჩამ თითებზეც არ დაიკიდა მეამბოხეს შეშფოთება და კარს მიაწყდა.

— ააა! აღმოხდა მეამბოხეს: — ის შენი ძუკნაა მოსული, ხომ?! ჭიშკართან დაგიყეფა. მასთან მიგეხალისება, ხომ! ფეხსაც ვერ მოიცვლი! დაჯექი ჩქარა!

მერე ისევ განაგრძო წერა. დრუნჩა კი კარს მიეფხაჭუნა. დაწექიო, დაუყვირა მეამბოხემ. შემოტრიალდა დრუნჩა და ეცა პატრონს მუხლებში, მერე ზევითაც. მერე ისევ კარისკენ შებრუნდა. ეჯაჯგურა კარს. გაიღო ისიც და გავარდა დრუნჩა. მივარდა გულის სწორს და ფერებ-ფერებით გაიყვანა ბილიკზე. მალე გაუჩინარდნენ. მარტოკაცი მეამბოხე იჯდა მაგიდასთან და საჩივარს სტილისტურად ასწორებდა.

დრუნჩა კი შთამომავლობის გამრავლების სურვილს შეეპყრო.

**წკეპლიკა**

## კვლავ თქვენს გახარებას ვეშურვი — სამოთხე გახდება ბეშუმი...

**ჩვენი მუხლჩაუხრელი, უფრო ზუსტად, ფრთებმოუღლელი პრეზიდენტი, იგივე ქვეყნის პირველი ხალხოსანი და, შესაბამისად, ხალხოსნური მოძრაობის ახალი ტალღის ამგორებელი, აგრძელებს ძვირადღირებულ ვოიაჟებსა და ძვირადღირებული პროექტების პროპაგანდირებას.**

ამჯერად მაღალმთიან აჭარულ სოფელ ბეშუმს ჩაფრინდა და ალაპარაკდა, მარა რა ალაპარაკდა: მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ პროექტს განვახორციელებთო, უმაღლესი კლასის სამთო-სათხილამურო კურორტს მოგიწყობთო, ოტელებს ავაშენებთო, გაზს ამოვიყვანთო, ბავშვებს სრიალს ვასწავლითო, ტურიზმს ავაყვავებთო, ჯავახეთიდან ტრასა მოგვყავსო...

„ჩაწყობილად“ თავმოყრილი და აგუგუნებული მასები კმაყოფილი დარჩნენ... კაცო, იაფი, მაგრამ ეფექტიანი პროექტებით თავის მოწონებას კაი, გავიგებ, ოღონდ რა პლანეტაზე გაუგონარი პროექტებით ბაქიბუქი აგვიტყდა, მაცოდინა, ნეტავი...

ასეთმა ტრაბახმა და ჯავახეთიდან ტრასის ხსენებამ „გლახაობის“ ხასიათზე დამაყენა და ასეთი სტროფები დამაწერინა:

**ერევნიდან ბათუმისკენ**
**მიმავალო ტრასავ,**
**თუ ბათუმმა გამოგკითხოს**
**რას აპირებ რასა,**
**უპასუხე: მიშას ჭკუა**
**არც ამ ღრმა სვლას ასცდა —**
**რა ხანია, მოძმე სომხეთს**
**სურს შავ ზღვაზე გასვლა...**

...ისე, ჩემო ბატონო, იყოს ბეშუმი, ოღონდ без шума, бесшумно...

**ლუკა გორგაძე**

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი
# სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“
# აცხადებს აუქციონს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი და ზენორმატიული მატერიალურ-ტექნიკური ქონება.**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| დასახელება | წონა, ტ | 1 კგ ღირებულება | მთლიანი ღირებულება, ლარი | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|
| შავი ლითონის ჯართი | 330672,88 | 0,1288 | 42590,66 | |
| ალუმინის ჯართი | 5854,5 | 1,17 | 6849,76 | |
| უჟანგავი ფოლადის ჯართი | 583,82 | 1,17 | 683,07 | |
| სპილენძის ჯართი | 175,58 | 5,40 | 948,13 | |
| სპილენძის შემცველი ლითონის ჯართი | 177,5 | 4,26 | 756,15 | |
| თითბერის შემცველი ლითონის ჯართი | 286 | 3,60 | 1029,60 | |
| შერეული ლითონის ჯართი | 77830 | 0,13808 | 10746,76 | |
| შერეული რადიოელექტრონული ჯართი | 10393 | 0,12 | 1247,16 | |
| აკუმულატორების შემცველი ელემენტების ჯართი | 2400 | 0,45 | 1080 | |
| ჯამი: | 428373,28 | | 65931,29 | 1000 |

**გამყიდველი სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.**

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბე-ს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 50 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის — 20 ლარი გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად აღიარებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბე-ს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება ხდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2009 წლის 7 აგვისტოდან 2009 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 19 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ., №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 8 სექტემბერს 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

— ბე-ს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

— სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

**ტელ: 95-28-28. მის: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

**დღის ალიან-ჩალიანი**

## სამხედრო ალაფს უკან არავინ აბრუნებსო



**რუსეთის ფედერაცია 2008 წლის აგვისტოში ხელში ჩაგდებული ქართული მხარის კუთვნილი ხუთი სამხედრო „ჰამერის“ ტიპის ავტომობილის საქართველოსათვის დაბრუნებას არ აპირებს. ეს განცხადება გუშინ რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ანატოლი ნოგოვიცინმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

— ჩვენ არც ვაპირებდით მათ დაბრუნებას და არც ვაპირებთ. ეს სამხედრო ალაფია, ეს ომის კანონია და ამიტომაც ამ კანონს პატივი უნდა ვცეთ და უნდა დავიცვათ, — აცხადებს ნოგოვიცინი.

რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ პრესკონფერენციაზე ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის მხარემ „ჰამერების“ დაბრუნების შესახებ განაცხადი აშშ შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა, პენტაგონის მხრიდან მიიღო.

— ეს საკითხი ჩვენი შეხვედრების დროსაც კი განვიხილეთ. რუსეთის ფედერაციის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში არ შეცვლილა, ამიტომაც მოდით, მეტი ამ საკითხს არ დავუბრუნდეთ, — აცხადებს ნოგოვიცინი.

## რათა ისტორიას შემოვუნახოთ

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში 2008 წლის აგვისტოში ჩვენს ქვეყანაზე განხორციელებული რუსული აგრესიის ამსახველი ვიდეო, ფოტო, აუდიო და სხვა მასალების საარქივო ფონდი იქმნება.**

ეროვნულმა არქივმა ამ პროცესში მონაწილეობა საქართველოში მოქმედ ტელეკომპანიებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებს შესთავაზა.

საარქივო ფონდის შექმნის მიზანია 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა, რათა მომავალ თაობებს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს გასულ წელს საქართველოზე განხორციელებულ რუსულ აგრესიასთან დაკავშირებით.

საარქივო ფონდში დაცული მასალა შეინარჩუნებს იმ ორგანიზაციების საავტორო უფლებებს, რომელიც არქივის შექმნაში მიიღებენ მონაწილეობას და მათი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირებს არ გადაეცემა.

## კორუფცია ბაკურციხეშიც მძვინვარებს

**გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის მოსახლეობა რაიონის ხელმძღვანელობას კორუფციაში ადანაშაულებს. ადგილობრივების განცხადებით, სოფლის ხელმძღვანელებმა მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან შეთანხმებით, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად გახარჯეს და მიითვისეს.**

მარტო სოფლის დახმარების პროგრამით ბაკურციხეს 20 ათასი ლარი გამოეყო, მაგრამ გზებზე ხევიდან ამოღებული ქვები დაგვიყარეს, მეტი არაფერი. ისედაც ფეხებს ვიმტვრევდით ამ გზებზე, ისე იყო დაზიანებული და ეხლა უარეს მდგომარეობაში ვართ. 40 წელია სასმელი წყალი არ გვაქვს და წყალი არ გვაღირსეს. ხევიდან რამდენიმე მანქანა ქვის ამოღებას 20 ათასი ლარი რად უნდოდა. სოფლისთვის გამოყოფილი ფული თანამდებობის პირებმა ჯიბეში ჩაიდეს. ისიც კი არ გვკითხეს, რა უნდა გაეკეთებინათ. მარტო წინასაარჩევნოდ გვაკითხავენ ხოლმე, — აღნიშნეს ბაკურციხის მაცხოვრებლებმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

# ვულოცავთ!..

*6 აგვისტოს, რასაკვირველია, ბევრი კარგი და ღირსეული ადამიანია დაბადებული, რომელთა სათვალავშია თავისი არაერთი კეთილნიშანთვისებით გამორჩეული ქალბატონი მარინე კანდელაკი, ხელგარჯილი, ხელგაშლილი, შუბლგაშლილი, სათნო, ბუნებათნაზიარი და შემწე. ვინც ქალბატონ მარინეს იცნობს (ალბათ, ძალიან ბევრი), უცილოდ ყველა დაგვეთანხმებოდა, თუ მას, ჩვეულებრივ დონორთაგან განსხვავებით, სიცოცხლისა და სიყვარულის დონორს შევარქმევდით. და ამაში ერთი მისხალი გადაჭარბებაც არ იქნებოდა!*



*კიდევ მრავალი და მრავალი დაბადების დღე მოგვილოცოს, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და თანამოღვაწევ, შენისთანა ადამიანების გვერდით ნამდვილად უფრო ადვილი და ერთგვარად სახალისოც კია ამჟამინდელი შეჭირვებული ცხოვრების გადატანა.*

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**99-62-77; 899 32-85-76.**

## ანეკდოტები

მიხო მივლინებაში იყო წასული. რომ ჩამოვიდა, თავის ძაღლს ეკითხება:

– მე რომ არ ვიყავი, ჩვენთან ვინმე მოდიოდა?

ძაღლი: – ჰავ!

– რამდენი კაცი იყო?

ძაღლი: – ჰავ, ჰავ, ჰავ, ჰავ.

– რასა შვრებოდნენ?

ძაღლი: – ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ...

* * *

შტირლიცი ოფიცერთა კლუბში ვახშმობდა. უცებ მიულერი ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა თქვა:

– ყველა რუსი ნაძირალაა!



დამსწრე ოფიცრებმა გულდაწყვეტილებმა შეხედეს გრუპენფიურერს და გაიფიქრეს:

– განა შეიძლებოდა ამის თქმა შტირლიცის თანდასწრებით?!

* * *

– იცით, ბატონო, ულვაში რომ არა, გამოცხადებული ჩემი სიდედრი ხართ!

– მე ულვაში რომ არ მაქვს?!

– დიახ, მაგრამ ჩემს სიდედრს აქვს!

* * *

– მიხო, ბახის ინვენციები მოგწონს?

– ჭკუაი ვკარგავ!

– მოგისმენია რო?

– როგორ არა, წუხელ შაქრო მთელი საღამო ტელეფონით მიმღეროდა, მაშ!

## წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია



ალაბამელ ჯემისონ სტოუნს წილად ხვდა ერთ-ერთი ყველაზე გიგანტური სანადირო ნადავლის მომპოვებლის დიდება – მოკლულია 470 კილოგრამიანი ტახი, რომლის სიგრძეა 2,74 მეტრი. ამაში არაფერი იქნებოდა გასაოცარი, მაგრამ მონადირე ხომ სულ 11 წლისაა.

## დაიჯესტი

### საფრთხეები უკვდავების გზაზე



**ადამიანები, რომლებიც ათას წელს იცოცხლებენ, უკვე დაიბადნენ და ჩვენ შორის იმყოფებიან. ეს განცხადება ბრიტანელმა ბიოგერონტოლოგმა ობრი დი გრეიმ გააკეთა. სიბერის პროცესის შესანელებლად დი გრეი უჯრედებისა და მოლეკულური დაზიანებების „შეკეთების“ წინადადებას აყენებს, რაც სხვადასხვა „ინჟინრული მეთოდით“ უნდა განხორციელდეს.**

ჯერჯერობით ცდებს თაგვებზე აწარმოებენ, თუმცა მეცნიერი დარწმუნებულია, რომ რამდენიმე ათწლეულში გაახალგაზრდავების კურსები ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი იქნება – ეს მოხდება ინიექციებისა ან, სულაც, აბების სახით. ხოლო ჯანმრთელი ცხოვრების დამატებითი 20-30 წლის მანძილზე, რომელსაც ადამიანები მიიღებენ, მედიკოსები ახალ გარღვევას მოახდენენ და კიდევ რაღაც ტექნოლოგიებს მოიფიქრებენ...

საგულისხმოა, რომ სიცოცხლის გახანგრძლივებას არა მარტო მედიცინა ცდილობს, თავიანთ იდეებს გამოთქვამენ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები, თუმცა ერთი კია: ზოგიერთი მათგანი შიშობს, რომ უკვდავება კაცობრიობას შეიძლება ძვირი დაუჯდეს, რადგან მაშინ, შესაძლოა, პიროვნების წაშლის საშიშროება და საყოველთაო კონტროლი, საკუთარი „მეს“ დაკარგვის და, ასე განსაჯეთ, „ჰომო საპიენსის“, როგორც ბიოლოგიური სახეობის გაქრობის საფრთხეც წარმოიშვას.

### რა ღირს სექსი?

**ცნობილი ანსამბლის „როლინგ სთოუნზის“ სოლისტმა მიკ ჯაგერმა ავტობიოგრაფიულ წიგნში 3,5 მილიონ დოლარზე მეტი გასამრჯელო მიიღო. ეს ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც დიდ ბრიტანეთში ავტორისთვის თხზულებაში ოდესმე გადაუხდიათ.** ამის მიზეზი კი, როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, სკანდალურად ცნობილი მიკ ჯაგერის მუსიკალური შემოქმედება კი არა, არამედ მისი ნაცნობების ინტიმური ურთიერთობების წვრილმანებია, რომელიც როკ-ვარსკვლავს ცნობილი პოლიტიკოსები მეუღლეებთან და ქალიშვილებთან, უფლისწულებთან, მსახიობ ქალებთან, მოცეკვავეებთან და სხვებთან ჰქონია. ასევე გამოთქვამენ გაკვირვებას იმის გამო, თუ როგორ ახერხებდა ამდენი თავგადასავლის მქონე ჯაგერი რეპეტიციებზე დასწრებასა და კონცერტებში მონაწილეობას.



### ისევე, როგორც ახალგაზრდობაში...

**უნგრეთის პრესაში გამოჩნდა ცნობა გასაოცარი საშუალებების შესახებ, რომელიც გაჭაღარავებულ ადამიანებს შორის თმის პირვანდელ ფერს აღუდგენს.** აღნიშნავენ იმასაც, რომ პირვანდელ ფერს პრეპარატი იმ შემთხვევაშიც აღადგენს, როცა კაცს თმა დიდი ხნის წინათ გაუჭაღარავდა. გამოგონებების ავტორმა ორგანიზმის ერთი თვისება გაითვალისწინა: იგი შემფერავ პიგმენტს გაჭაღარავების დროსაც კი გამოიმუშავებს, თუმცა ამ დროს იგი თმაში ველარ ხვდება, ხოლო სითეთრეს თმაში მოხვედრილი ჰაერი წარმოშობს.

სამკურნალო საცხები პიგმენტის აქტივირებას ახდენს და უკან დაბრუნებას აიძულებს. მკურნალობის პირველი ეტაპი თორმეტ დღეს გრძელდება, ხოლო საცხის თმაში ჩაზელვა დღეში ორჯერ ხდება. შემდგომ კი პრეპარატს კვირაში ერთხელ ან ორჯერ ხმარობენ. მიუხედავად იმისა, რომ საცხები დაპატენტებულია, გამოგონების ავტორის სახელი მაინც გასაიდუმლოებულია... აბეზარი მეზობელ-ახლობლების სავარაუდო „შემოტევების“ თავიდან ასაცილებლად.





### ნეტავ მართლა ასე იყო?



**ლეგენდარული საბჭოთა ტანმოვარჯიშე ოლგა კორბუტი თებერვალში ატლანტის პოლიციამ დააკავა იმის გამო, რომ მან ყველში, შოკოლადში, ყურძენსა და ჩაიში...** 10 დოლარი არ გადაიხადა! მაღაზიის დაცვის თანამშრომელი მას მაშინ წამოადგა თავზე, როცა იგი სურსათს თავის ჩანთაში დებდა. ქალბატონმა კორბუტმა ახსნა-განმარტებისას განაცხადა, რომ საფულე მანქანაში დარჩა, ამიტომ ჯერ საყიდლების მიტანა, შემდეგ კი დაბრუნება და ფულის გადახდა გადაწყვიტა. იგი იმ დღესვე ციხეში გადაიყვანეს, მაგრამ რამდენიმე საათში, 600 დოლარის გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს.

### მრგვალი მანეჟის ავტორი



**XIX საუკუნის დასაწყისის მხატვრების ოგიუსტ პიუჟენისა და თომას როულენდსონის გრავიურაზე ლონდონის „ასთლეის ამფითეატრია“ გამოსახული.** ეს შენობა ინგლისელმა მოჯირითემ და აკრობატმა ფილიპ ასთლეიმ (1742-1814 წწ.) ააგო, რომელიც საცირკო ხელოვნების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი იყო. მიჩნეულია, რომ ცირკში მრგვალი მანეჟი პირველმა სწორედ ფილიპ ასთლეიმ შემოიღო.

### რძე შიმშილს ებრძვის

**რათა არ მოგინდეთ სადილამდე წახემსება, დილით უნდა დალიოთ რძე. ავსტრალიელი სწავლულები გვიმტკიცებენ, რომ ის აქვეითებს შიმშილის გრძნობას. კერძოდ, საუზმე, რომელშიც შედიოდა რძე, 50 კალორიით ანუ 9 პროცენტით ამცირებს სადილად შეჭმული საკვების მოცულობას.**

რათა ეს დაემტკიცებინათ, მეცნიერებმა მოაწყეს ექსპერიმენტი, რომელშიც ზედმეტწონიანი 34 ადამიანი მონაწილეობდა. ერთნი საუზმეზე სვამდნენ ჭიქა რძეს, მეორენი – ხილის წვენს. ამის შედეგად პირველი ჯგუფის მონაწილენი სადილად გაცილებით ნაკლებ საჭმელს ჭამდნენ.

### ყავა ამარცხებს უსიამოვნო სუნს



**ისრაელელმა სწავლულმა სპეციალისტებმა მოახერხეს პირში უსიამოვნო სუნთან ბრძოლის საშუალების აღმოჩენა. ის ჩვეულებრივი ყავაა, მასში შემავალი ნივთიერებები ეწინააღმდეგებიან პირის ღრუში ბაქტერიების გამრავლებას. ხშირად სწორედ ბაქტერიები იწვევენ უსიამოვნო სუნს.**

ახლო მომავალში მეცნიერები გამოყოფენ ყავის ექსტრაქტიდან აუცილებელ ნივთიერებას, შემდეგ კი მას დაუმატებენ საღეჭ რეზინს ან კამფეტებს. იქამდე კი პირიდან უსიამოვნო სუნის პროფილაქტიკისთვის სპეციალისტები გვირჩევენ – მივატოვოთ თამბაქოს წევა, კარგად გავიწმინდოთ კბილები და ენა, დავიცვათ რაციონალური კვების ბალანსი.

უცხოური პრესის მიხედვით

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
99-62-77;
899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.